# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  ხუთშაბათი, 22 მაისი  1997 №58 (423)  ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



წუხელ მილანში: ეს-ესაა ოლაფ ტონმა იუჰანსონისგან უეფას თასი ჩაიბარა

უეფას თასის საპასუხო ფინალი

ოთხშაბათი, 21 მაისი

UEFA CUP

# შალკე 97!

**ინტერი 1:0 შალკე**

პენალტებით 1:4

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (ანგლომა 70), პაგანინი, ფრეზი, პისტონე, ძანეტი (ბერტი 120), ინსი, სფორცა (ვინტერი 80), ჯორკაეფი, განცი, სამორანო

შალკე: ლემანი, დე კოკი, ლინკე, მიულერი (ანდერბრიუგე 97), ბუსკენსი, აიგენრაუხი, ტონი, ნემეცი, ლატალი (მალდი 113), ვილმოტსი, მაქსი

გოლი: სამორანო (85)

გაფრთხილება: განცი, აიგენრაუხი, ფრეზი, ლემანი, ტონი, ვილმოტსი, სამორანო, ჯორკაეფი, ლატალი

გაძევება: ფრეზი (90)

1991 წელს უეფას თასი „ინტერმა“ მოიგო. 3 წლის შემდეგ, 1994-ში ისევ მილანელებს ეპყრათ ეს ჯილდო ზეალმართული. გავიდა კიდევ სამი წელი და...

პირველი დარტყმა ანდერბრიუგემ შეასრულა — ძლიერად, ცხრიანში შეაგდო ბურთი. საპასუხო სამორანომ ითავა, მაგრამ გერმანელთა მეკარემ აუღო. „შალკეს“ ვეტერანმა ტონმა ანგარიშის სხვაობა გაზარდა, თუმცა ჯორკაეფმაც სიზუსტე გამოიჩინა. შემდეგ ბურთთან მაქსი მივიდა. მაქსი უნაკლო იყო, აი, ვინტერმა კი კარს საერთოდ ააცილა.

და დადგა გადამწყვეტი დარტყმის ჟამი. ვილმოტსი თუ შეაგდებდა, პენალტების სერია უნდა შეწყვეტილიყო, რადგან გამარჯვებულის ვინაობა ირკვეოდა.

ვილმოტსმა გაიტანა...

მენავთობე მაგნატი, მასიმო მორატი „ინტერის“ პრეზიდენტი 1995 წლის თებერვალში გახდა, წუხელ კი ამ რანგში პირველი ტიტულის მოპოვების შანსი ჰქონდა, მაგრამ ხელი მოეცარა.

გელზენკირხენის გუნდს უეფას თასის ამ გათამაშებისას სტუმრად ჩატარებული თამაში უგოლოდ ერთხელაც არ დაუტოვებია. ასეთი რამ პირველად მილანში მოხდა, მაგრამ გოლის სანაცვლოდ გერმანელებმა ხელს დიდი ევროპული ჯილდო წამოაყოლეს.

ორი კვირის წინ „შალკემ“ „ინტერი“ ვილმოტსის გოლის წყალობით დაამარცხა. ბედმა ასე ისურვა და საპასუხო შეხვედრაშიც გადამწყვეტი პენალტი ვილმოტსმა შეასრულა.

...მე-5 წუთზე პირველი სახიფათო მომენტი ვილმოტსმა შექმნა, მისი ნახევარბრუნით ტარტყმული პალიუკამ გააუვნებლა. აქედან, მეორე მწვავე ეპიზოდამდე, დაძაბული თამაშის ოცდახუთმა წუთმა გაელო და შემდეგ ისევ გერმანელებმა გაიელვეს: გათამაშებული ჯარიმა ისევ ვილმოტსის ძლიერი დარტყმით და პალიუკას ოსტატური ნახტომით დასრულდა. ექვს წუთში ჯორკაეფმა მარცხნიდან კუთხური ჩააწოდა, ზეენერგიული და თავდადებული ინსი თაურის დასარტყმელად ბურთს ვერ შეწვდა, მოგერიებული ისევ ფრანგს მიუვიდა, თუმცა მის სახიფათო დარტყმულს ლემანი დაუხვდა. 41-ე წუთზე მარჯვნიდან ჯარიმა გათამაშდა — განცის თაური ცოტათი ცდება მიზანს. ორი წუთის შემდეგ მიულერი შედიოდა სახიფათოდ, მაგრამ პაგანინმა ვარდნით გამოიტანა.

კართა შეცვლის შემდეგ ჯორკაეფმა ჯარიმა დაარტყა, მაგრამ გოლკიპერმა აუღო. მე-60-ზე მაქსის შორეული კარგი დარტყმა პალიუკამ ეფექტური ნახტომით კუთხურზე მოიგერია, ორჯერ სამოც წამში ხიფათი საპირისპირო კართან შეიქმნა: ძანეტიმ საჯარიმოსთან მარჯვნივ იდრიბლინგა და განცს აუწია, განცმა ინსს დაუგდო, რომლის შეუჩერებელი დარტყმა ცოტათი ასცდა კარს. 70-ე წუთზე ვილმოტსმა შეახსენა ხალხს თავი. კვლავ გათამაშებული ჯარიმა, კვლავ ვილმოტსის ლონივრად დარტყმული, ბურთი ფრეზის ხვდება და მიმართულებას იცვლის, პალიუკა მიმართულებას ველარ შეიცვლის... მაგრამ ბურთი კვლავ სცდება მიზანს.

თამაშის დამთავრებამდე 6 წუთია, გელზენკირხენელები ცალი თვალით უეფას თასს გაჰყურებენ კიდეც, მაგრამ აუტიდან მოწოდებულს დაუდევარი ინსი თაურით ახლო ძელისკენ აგდებს, სადაც სამორანო სასწაულებრივ ახერხებს ფეხის გაწევასა და დარტყმას. საერთო ანგარიში გათანაბრებულია.

...„ინტერი“ მოედანზე ათი ფეხბურთელით რჩება. ფრეზი მეორე ყვითელს იღებს და მოედანს სტოვებს... დამატებითი დრო. 110-ე წუთი: ძანეტი-სამორანო-ინსი. ინგლისელს ცოტა დააკლდა ბურთს შეწვდენოდა და კარში შეეგდო. 111-ე წუთი. სამორანო საჯარიმოში აწვდის განცს, რომელიც ხარიხას უმიზნებს. დამატება ალარ ხერხდება. შემდეგ კი იყო პენალტები.

— დღეს ისტორიასთან პაემანი მაქვს. თუ ვერ მოვიგეთ, ჩემი ყველა გოლი ამაო გამოდგება — თქვა მატჩის წინ მაურიციო განცმა. პაემანი უილბლო გამოდგა: უეფას თასი, შარშანდელისა არ იყოს, კვლავ გერმანიაში გამოიზამთრებს, ოღონდ ცნობილ მიუნხენში კი არა, უსახურ, ინდუსტრიულ გელზენკირხენში. გაისად ამ დროს კი ვნახოთ, რა იქნება. „ინტერი“ „ინტერია“ და არაა გამორიცხული, რომ ისტორიასთან პაემანი განმეორდეს.


ფეხბურთი
FRANCE 98


**მსოფლიოს ჩემპიონატის** შესარჩევი მატჩი. ევროპის VIII ჯგუფი

ირლანდია — ლიხტენშტაინი 5:0

კონოლი (28, 35, 41), კასკარინო (60, 78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 20:0 | 18 |
| ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 15:4 | 10 |
| მაკედონია | 6 | 3 | 1 | 2 | 18:10 | 10 |
| ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:36 | 0 |

**ამხანაგური მატჩი**

ტაილანდი — ჩრდ. ირლანდია 0:0

**იუგოსლავიის** თასის ფინალი. ცრვენა ზვეზდა — ვოივოდინა 1:0

**გერმანიის** II ბუნდესლიგა. კარლცაისი — მაინცი 2:1, ფორტუნა — ურდინგენი 1:2, შტუტგარტერ კიკერსი — ვოლფსბურგი 0:0

**პორტუგალიის** თასის ნახევარფინალი. ბოავიშტა — სპორტინგი 3:2 (დამატებით დროში)



მამ ასე, რით ჰოჯსონი დამარცხდა. მალე იგი სამშობლოში დაბრუნდება. „უორლდ სოკერის“ კორესპონდენტის გევინ ჰამილტონის ინტერვიუ „ინტერის“ მწვრთნელთან უეფას თასის ნახევარფინალების წინანდელია, მაგრამ მისი წაკითხვა დღესაც ერთობ საინტერესოა, რადგან... თუმცა, რატომაა ინტერვიუ საინტერესო და რაზე საუბრობს ინგლისელი მწვრთნელი, ამას თავად მეხუთე გვერდზე ნახავთ.

# კახეთს დარჩენის შანსი მისცეს

გუშინწინ ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ სადისციპლინო კომისიის სხდომაზე საკმაო ლმობიერება გამოიჩინეს და ყველაფერი სარჩელის შემტანთა სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

თუ ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვებით, მაშინ პირველ რიგში თელაველთა საქმე უნდა გავარჩიოთ. შეგახსენებთ, რომ 28-ე ტურში „კახეთი“ თბილისის „მერანს“ ორიოდ ფეხბურთელით ეწვია. დანარჩენებმა ტყეში დაკრეფილი სოკო მიირთვეს და დაგვეწამლნენო — ასეთი იყო ოფიციალური განმარტება. თავად „კახეთის“ მთავარი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე ამ დროს რუსთავში იმყოფებოდა და „გორდა“ — „სიონის“ ორთაბრძოლას უცქერდა. თელაველებმა ფედერაციას ოფიციალური საბუთებიც წარუდგინეს. თავის მხრივ, ჩვენი ფეხბურთის მმართველმა ორგანომ თელავს სამკაციანი კომისია აფრინა, რომლის წევრებს არაკომპეტენტურობას ვერ დავწამებთ. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ექიმებმა ლიმა ზაალიშვილმა და როლანდ ხვადაგიანმა ფედერაციის იურისტი (რომელი, ვერ დავადგინეთ) იახლეს და თელავიდან ასეთი ცნობა ჩამოიტანეს — „კახეთის“ რამდენიმე ფეხბურთელი სოკოს მართლა მოუწამლავს და 18 მაისს ვერაფრით ითამაშებდნენო. სადისციპლინო კომისიამ საკმაო ხნის თათბირის მერე „კახეთს“ წაგება ვერ ჩაუთვალა და მატჩი 25 მაისისთვის დანიშნა. ამ დღეს თამაში „მერანს“ საქმეებს არ აურევს და ავჭალელებიც დაყაბულდნენ.

მეორე საკითხად ბოლნისელი ჯაგიდის საკითხი ირჩეოდა. ჯონიმ რუსთავში ბურთი განზრახ მომარტყაო, ამტკიცებდა მსაჯი გუნთაძე. ყვითელი ბარათით დასჯილ ფეხბურთელს მომდევნო ტურის მატჩი უნდა გამოეტოვებინა. ბოლნისელებმა ფედერაციაში ვიდეოფირი მიიტანეს, განიხილეს, ჩანაწერი თავად გუნთაძესაც ანახეს და მერე მოხდა ის, რაც ქართულ ფეხბურთს, კერძოდ, ეროვნული ჩემპიონატების ისტორიას არ ახსოვს. მსაჯები ჩვენში ადრეც ბევრჯერ შემცდარან, მაგრამ მათი გადაწყვეტილებები ფედერაციას არასდროს შეუცვლია. მსგავსი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიასაც ერთეულები თუ ახსოვს. სადისციპლინო კომისიამ ჯაგიდისს ყვითელი ბარათი გაუუქმა და „ბათუმთან“ თამაშის უფლება მისცა. ამ გადაწყვეტილებას თავად გუნთაძის მონოლოგმაც შეუწყო ხელი: „იმ მომენტში ნაღდად ისე მეგონა, რომ ჯაგიდისმა ბურთი განზრახ მომარტყა, მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობსო, თქმულა. ვიდეოჩანაწერის ხილვამ დამარწმუნა, რომ შევცდი. შევცდი და კაცურად ვაღიარებ კიდეც, რომ ჯაგიდისი არ უნდა გამეფრთხილებინა. შემეძლო, ჩემსაზე ჯიუტად ვმდგარიყავი, მაგრამ, მერწმუნეთ, განზრახ ფეხბურთელს და გუნდს ვერ დავჩაგრავ, სინდისი ამის უფლებას არ მომცემს.“ მოკლედ, გუნთაძემ გააკეთა ის, რაც ჯერ არც ერთ ჩვენებურ მსაჯს არ ჩაუდენია.

სადისციპლინო კომისიამ ბოლოს კიდევ ორი საქმე გაარჩია. „დინამოსთან“ თამაშისას თსუელი ბათიაშვილის გაძევებამ დიდი აურზაური რომ გამოიწვია, „სარბიელის“ მკითხველებს კარგად მოეხსენებათ. თსუს ხელმძღვანელთა შეშფოთება, ბათიაშვილი ფოთელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებსო, საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა და მეკარეს ერთი თამაშის გამოტოვება აკმარეს. ასე რომ, ხვალ „კოლხეთთან“ საშინაო მატჩში უპრობლემოდ ითამაშებს.

წინა დღეებში კიდევ ერთი მოწამვლის ფაქტი დაფიქსირდა, ოღონდ ამ ჯერზე მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში. სენაკის „ეგრისის“ თავკაცობამ და რაიონის ხელმძღვანელებმა ფედერაციაში საბუთები აფრინეს, თანაც ხვეწნა-მუდარა მიაყოლეს, ფეხბურთელები შეკრებაზე გვყავდა, ჩვენდა საუბედუროდ, ბიჭებს ჩაროზად თურქული ნამცხვარი მივართვით და დაგვეწამლნენო. საბუთები სენაკელთა ნაამბობის ჭეშმარიტებას ლაღადებდნენ. ფედერაციამაც „მაღაროელთან“ თამაში გადადებულად ჩათვალა და ეს მატჩი სენაკში დღეს გაიმართება.

# ცხადაძე ემზადება

კახა ცხადაძე ვლადიკავკაზში კი დაბრუნდა, მაგრამ ჯერ ვარჯიშს ნაადრევად მიიჩნევს: „სირბილი ახლაც შემიძლია, მაგრამ ვერიდები — მუხლში სითხე მაქვს დარჩენილი და ნაადრევად ვარჯიშის დაწყებამ, შესაძლოა, საქმე გამირთულოს. ყოველ შემთხვევაში, „ალანიას“ ექიმებს არაფერს ვეკითხები. ამათ ხელში თითქმის ყველა მორჩენის ნაცვლად ტრავმას ვიმიზეზებთ. ახლა გახოკიძეც ფეხნატკენია. ნიჟნის „ლოკომოტივთან“ რომ არ მეთამაშა და დამესვენა, ოპერაციამდე საქმე არ მივიდოდა. ახლა ჩემთვის მთავარია, მოლდოველებთან შეხვედრისთვის მოვემზადო, თამაშით კი აუცილებლად ვითამაშებ. ვარჯიშს ორი დღის შემდეგ დავიწყებ, სრულ დატვირთვებზეც მალე გადავალ. ყოველ შემთხვევაში, ვიმეორებ, მოლდოველებთან შეხვედრისთვის მზად ვიქნები.“

## გულშემატკივარმა იმკითხაოსო

დღეს 18 საათზე რაგბის ჩემპიონატის „ა“ ჯგუფის II ტურის მთავარი მატჩია: შარშანდელი ჩემპიონი „გუმარი“ ბრინჯაოს პრიზიორ „ქორებს“ მასპინძლობს, მაგრამ სად, ოდენ მამა-ზეციერმა თუ უწყის.

„გუმარს“ თამაშის გამართვა ვაკის სტადიონზე სურდა და თურმე მავანთა პროტექციის წყალობით შემცირებული ქირის — 200 ლარის გადასახდელადაც მზად იყო, მაგრამ სტადიონს რაღაც ეშმაკად ფეხბურთის ფედერაციიდან მიუღია დირექტივა, მოედანი მზად გქონდეთ, რადგან, თუ გაწვიმდა, საქართველოსა და სომხეთის ჭაბუკთა ნაკრებების მატჩს ეროვნული სტადიონიდან თქვენთან გადმოვიტანთო.

ქართულ სპორტში სახეობათა უფროს-უმცროსობა კარგა ხნის დადგენილია. ფეხბურთელთა სურვილი კანონია ბაზების დირექტორთათვის. ურჩებს მავანნი საკადრისად მოკითხავენ. ამიტომაა, რომ რაგბის დიდი მატჩის ბედი ეს უკვე მერამდენედაა დამოკიდებული ფეხბურთის ამხანაგური თამაშის ევების-გამართვაზე.

რაგბის გუნდებსა და მაყურებლებსაც რაღა დარჩენიათ: სულ ბოლო მომენტამდე მკითხაობა მოუწევთ. დღეს ევებ არ იწვიმოს, მერე კი დაღამებამდე ვაკის სტადიონის მოედნის სარაგბოდ გაწყობა და ზედ რაგბის თამაშიც მოესწრება.

**საქართველო 3:0 სომხეთი**

ამხანაგური მატჩი

მცხეთა. ცენტრალური სტადიონი.

**საქართველო:** ბათიაშვილი (ლომაია 71), აბრამიძე, შაშიაშვილი (კორღალიძე 25), ბაქრაძე, ხარებავა (ჩანადირი 69), ებრალიძე, ახალაძე (ხუციშვილი 63), აფციაური (იოსავა 65), გივი კვარაცხელია, ივეჩიანი (მიქაძე 46), შენგელია

**სომხეთი:** კასპაროვი, ბაგოიანი, ნ. ერზრუმიანი, ა. გრიგორიანი, ატოიანი, ს. მინასიანი (არ. გრიგორიანი 69), ჯენებიანი, ს. ერზრუმიანი (დავთიანი 46), ა. აკოფიანი, პ. აკოფიანი (გ. გრიგორიანი 68), ალექსანიანი (არ. აკოფიანი 46)

1:0, 2:0, 3:0 შენგელია (41, 43, 65)

**გაფრთხილება:** აბრამიძე

**მსაჯი:** ს. შალამბერიძე (საქართველო)

# ძველი ჯავრი იყარეს

**მერაბ მამულაშვილი** მცხეთიდან

შარშან ბულგარეთში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მომხდარის შემდეგ (მასპინძლებთან ქართველთა 2:2-ის მერე სომხებმა ბულგარელებს ღია კარის დღე მოუწყვეს და 0:9 წააგეს), კოპალეიშვილს ჯავრის ამოყრის კარგი საშუალება მიეცა. ორი შეხვედრიდან პირველი მცხეთაში გაიმართა.

იმ ტურნირის მერე მწვრთნელი მოუხსნიათ და ახალგაზრდა სომხებს საქართველოში ახალი თავკაცი, სეირან გალსტიანი ჩამოუძღვა. ის კი რა შუაში იყო, მაგრამ მაინც ვკითხე, ცხადია, ტაქტიანად, როგორ „მოახერხეთ" ბულგარელებთან ესოდენ საარაკო მარცხი-მეთქი. მეტად „დამაჯერებელი" პასუხი მივიღე, მართალია, მაშინ მე არ ვავარჯიშებდი ნაკრებს, მაგრამ იმ წაგებაში საეჭვო არაფერი გახლდათ, ფეხბურთში ყველაფერი ხდებაო. რაღა უნდა მეთქვა, ფეხბურთში ხომ მართლაც ყველაფერი ხდება. აი, მაგალითად, ის, სომხეთის ეროვნულ გუნდს ჩილესთან რომ დაემართა. მათ კაპიტანს ვარდან ხაჩატრიანს თუ დავუჯერებთ, 0:7-ით წაგებული შეხვედრა უნდა მოეგოთ...

...მცხეთელებმა მეტოქეებს მშვენიერი მოედანი დაახვედრეს. მცხეთაში მართლაც საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მოედანია, მაგრამ დანარჩენისა რა მოგახსენოთ — გასახდელებს, მსაჯთა და კომისართა ოთახებს სხვა სახელი უფრო მოუხდებოდა. არადა, ეს სტადიონი მცირედაც რომ კეთილმოეწყობოდეს, საუკეთესო სპორტული კომპლექსი იქნებოდა. მანამდე კი „აუტჩიკებს" ბურთის ძებნა მესერთა და ხეებს შორის უწევთ.

ჩვენებმა ოთხი მცველით დაიწყეს თამაში. ლიბერო შაშიაშვილი გახლდათ, მის წინ ბაქრაძე იდგა და კაცზე თამაშობდა, მარცხენა ფლანგს ხარებავა აკონტროლებდა, მარჯვენას — აბრამიძე. მოედნის შუაგული ებრალიძესა და კვარაცხელიას ებარათ, მარცხენა ჰავბეკად აფციაური თამაშობდა, მარჯვენად კი ახალაძე. თავდამსხმელი ორი გვყავდა — შენგელია და ივეჩიანი. სომხებმაც ასეთივე განლაგება ირჩიეს.

ჩვენები თავიდანვე ხისტად ათამაშდნენ და სომხებმაც არაფერი დათმეს. მოკლედ, გვარიანი მეზობლური ქიშპი გაჩაღდა და ერთი ხანობა სომხები უფრო სწორად და გამართულად თამაშობდნენ. ჩანდა, რომ ჩვენი შუახაზელები საქმეს თავს ვერ ართმევდნენ.



შენგელიამ კასპაროვს სისხლი გაუშრო

25-ე წუთამდე თანაბარი ბრძოლა იყო, სახიფათო მომენტებიც ვითარების შესაფერისად, ორივე კართან თანაბრად იქმნებოდა. ჯერ იყო და, ახალაძემ ინდივიდუალურად გაიბრწყინა და მისი დარტყმის მერე სომხები ხარიხამ იხსნა, მალე კი სომხებმა ვერ ივარგეს ბოლომდე — პარმენ აკოფიანი მცველთა უხეშმა შეცდომამ კართან ეულად დატოვა, ამან კი თავი გამოჩენის ნაცვლად მაგრად შეირცხვინა.

კოპალეიშვილმა ცვლილებითა და ტაქტიკური გადაადგილებებით სცადა მეტოქის დაშამათება. შაშიაშვილი ლევან კორღალიძით შეცვალა, კვარაცხელიას უკან, საყრდენის პოზიციაზე დაახევინა, საყრდენმა ებრალიძემ კი ლიბეროობა ჩაიბარა. ამის შემდეგ თამაში ჩვენებისთვის სასიკეთოდ აეწყო და ტაიმის ბოლოს ორჯერაც იხეირეს. ორჯერვე გიორგი შენგელიამ იყოჩაღა. ჯერ ივეჩიანის მშვენიერი გადაცემა შეიშნოვა, მერე კი აფციაურის ჩაწოდებულზე თავით ყველას დაასწრო და სომეხთა მეკარე კასპაროვს მეორედ გამოატანინა კარიდან ბურთი. ესაც არ აკმარა, მეორე ტაიმშიც გაუტანა და ჰეთ-თრიქიც გააზერხა.

მოკლედ, მოვიგეთ, მაგრამ, გამარჯვებამ სიხარულზე მეტად ჩამაფიქრა.



ერთი წლის წინანდელი ნაკრები უფრო ძლიერი იყო, ამჟამინდელს კი ძლიერ გუნდად ჩამოყალიბებამდე ბევრი რამ აკლია. ეს თავად **ვახტანგ კოპალეიშვილმაც** აღნიშნა მატჩის შემდეგ:

— პირველი ტაიმის გარკვეულ პერიოდში სომხებმა უფრო სწორად ითამაშეს და გვაჯობეს, ამიტომაც იძულებული გავხდი, ცვლილებებისთვის მიმემართა. თავს არ ვიქებ, მაგრამ, ფაქტია, რომ შეცვლამ შედეგი მოიტანა. მთავარი ისაა, რომ სწორად დავიწყეთ თამაში და შედეგსაც ამიტომ მივაღწიეთ. დღევანდელი გუნდი ჯერ შორს დგას იმისგან, რასაც ველოდები.

თუმცა, თამაშის გაძლიერება რამდენიმე ლეგიონერის დამატებით შეგვიძლია — ფარქოსაძე, გოგოლაძე, მენთეშაშვილი, წერეთელი, ნოზაძე... ეს პატარა ძალა არ არის. შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ თამაშის ხარისხზე იგივეს ვერ ვიტყვი.

**— დღევანდელმა თამაშმა გუნდის რა ნაკლი დაგანახათ?**

— სამუშაო ძალიან ბევრია. მთავარია, სწორი ფეხბურთი ვითამაშოთ — ბურთის დროზე გადაცემა, დროული დარტყმა, დღეს ბევრი რამ გვაკლდა. სტანდარტული სიტუაციები და კუთხურებიც დასახვეწი გვაქვს. სხვა პრობლემაც არის — ჩვენ ნაკრების წევრებს უფრო დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ, ვიდრე მათ კლუბებში სთხოვენ და ესაც თავსატეხად გვექცევა.



**სეირან გალსტიანმა**, სომეხთა მწვრთნელმა, გვითხრა: „კარგი თამაში გამოვიდა. ჩვენ საგოლე მომენტების გამოუყენებლობისთვის დავისაჯეთ. შედეგიც ლოგიკური იყო, თუმცა შეიძლებოდა, უფრო მცირე ანგარიშით დავმარცხებულიყავით". მანვე მწვრთნელმა გვაცნობა, რომ აგვისტოში სომხეთში ორი საპასუხო შეხვედრა გაიმართება.

**გურამ დოლენჯაშვილის** ფოტოები



ქართველთა ლიბერო ებრალიძე გაუვალი იყო

# ქინქლაძე: გულშემატკივრებს ვერ ვუღალატე



როცა ინგლისში იყო გიორგი ქინქლაძე, ახალ ამბებს არ გაგვებდით ხოლმე. ახლა კი გიოც და ჯერჯერობით ისევ სიტელი მიხეილ ყაველაშვილი თბილისში არიან და ამ მომენტის ხელიდან გაშვება, აბა, როგორ იქნებოდა. მართალია, გიოს ჟურნალისტებისაგან მოსვენება არა აქვს, რაც ჩამოვიდა, თითქმის ყოველ საათს ინტერვიუებს იძლევა და ცოტა გადაღლილიცაა, მაგრამ ჩვენთან საუბრისთვის თავი არასდროს აურიდებია და ასე იყო ამჯერადაც. რაც შეეხება ყაველაშვილს, მასთან დიალოგს უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ. თუმცა, მთავარს ახლაც გეტყვით — ყაველა, როგორც ვთქვით, ჯერჯერობით ისევ „სიტის" საკუთრებაა, მაგრამ მხოლოდ პირველ ივლისამდე, მანამდე კი მისი ახალი კლუბიც გაირკვევა.

**— გიო, რაც ჩამოხვედი, ჟურნალისტები აღარ გასვენებთ...**

— რა გაეწყობა, პროფესია გაქვთ ასეთი. ისე კი, არ დაგიმალავთ და, ცოტა მომბეზრდა კიდეც გამუდმებით ერთსადაიმავე კითხვებზე პასუხი.

**— ყველაზე ძალიან რომელი კითხვა არ მოგწონს?**

— როცა ნაკრების შესახებ მეკითხებიან ხოლმე.

**— ინგლისშიც ასეთ დღეში იქნებოდი...**

— იქაც საკმაოდ მიწევს ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ქართველებს მათთან შედარებით ერთი პლიუსი გაქვთ — ინგლისელებს რაც უნდა უთხრა, ყოველთვის ისეა, რომ ბუზისგან სპილოს გამოიყვანენ ხოლმე. ერთ მაგალითს გეტყვი: ამას წინათ ერთ გაზეთს ვუთხარი, როცა არგენტინაში „ბოკა ხუნიორსში" გასასინჯად ვიყავი, ერთხელ მარადონასთან ერთად ვივარჯიშე-მეთქი. ამათ კი კუდი გამოაბეს, თითქოს მეთქვას, მარადონა ჩემი ძმაკაცი იყოსო და დღემდე ასე თვლიან.

**— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ დროა შენს ამბებზეც გვითხრა.**

— „სიტისთან" კიდევ ერთი წლით მოვაწერე კონტრაქტს ხელი. სიმართლე გითხრა, არ მინდოდა „სიტიში" კიდევ ერთი სეზონი გაჩერება, მაგრამ ყველაფერის მიზეზი იქაური გულშემატკივრები არიან, რომლებმაც წერილიც კი მომწერეს — ძალიან გთხოვთ, ჩვენთან დარჩიო. თანაც, კარგი პირობები შემომთავაზეს და იმასაც დამპირდნენ, თუ მომავალ სეზონში პრემიერლიგაში ვერ გადავალთ, უეჭველად გაგიშვებთო. რა ვიცი, ჯერჯერობით ამის წინაპირობა არის — სპონსორებმა კლუბს ათი მილიონი გირვანქა ჩაურიცხეს, ამ თანხას კი ახალი ფეხბურთელების ყიდვას მოახმარენ თუ სხვა საქმეში დააბანდებენ, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, მგონი, კარგ მოთამაშეებს მოიწვევენ.

**— ესე იგი, ის ინფორმაცია, თითქოს ქინქლაძემ ერთი კი არა, სამი წლით გააგრძელა კონტრაქტიო და შესაბამისად სამი მილიონ სამასი ათასს მიიღებსო — ტყუილია.**

— ამის შესახებ პირველად მესმის. „სიტისთან" მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტზე მოვაწერე ხელი, არავითარი სამი წელი. შეიძლება იმაში აერიათ, რომ კიდევ ორი წლით ვიყავი ინგლისელების საკუთრება და ამას ახლანდელი კონტრაქტის პირობებიც დაუმატეს. მოკლედ, საქმე ასე იყო: „სიტიდან" წასვლას ვაპირებდი, ამის შესახებ პრეზიდენტმაც და სხვებმაც კარგად იცოდნენ. შუა სეზონში დამპირდნენ კიდეც, პრემიერლიგაში გადაუსვლელობის შემთხვევაში აუცილებლად გაგყიდითო. კლარკის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ საამისო შანსიც გამოგვიჩნდა და ლიც მამშვიდებდა, ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად მიდისო. ბოლო მატჩზე კი, რომელშიც ტრავმის გამო არ ვთამაშობდი, მამუკა კვარაცხელია იყო მოწმე, რა დღეში იყვნენ გულშემატკივრები. მთელი სტადიონი ყვიროდა — გიო, არსად წახვიდეო. ლიმ ყველაფერი ეს გამოიყენა და მითხრა, ამ ხალხს მაინც გაუწიე ანგარიშიო, და თუ ამასაც არ გაითვალისწინებ, იცოდე, ჩემს ხელში ხარ, კიდევ ორი წელი ჩვენ გვეკუთვნი და არსად გაგიშვებო. რა გაეწყობოდა — თან მთხოვა, თან, ასე ვთქვათ, დამემუქრა. თანაც ჩემი მდგომარეობაც გაითვალისწინა და მხოლოდ ერთწლიანი ახალი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა.

**— და მაინც, შენი „სიტიში" დარჩენა იქაური ფანების „ბრალია"?**

— შეგიძლიათ, ასეც ჩათვალოთ.

**— კი მაგრამ, „მიდლსბროში" მოთამაშე ჟუნინიომ თუ შეუთვალა თავის გულშემატკივრებს, თქვენი დიდი ხათრი კი მაქვს, მაგრამ ჩემი თავი პირველი დივიზიონისთვის არ მემეტებაო, შენ არ შეგეძლო ასევე მოქცეულიყავი?**

— შემეძლო, როგორ არა. მითუმეტეს, იმასაც კარგად ვგრძნობ, პირველი დივიზიონი პრემიერლიგა რომ არაა, კლასიც აქ უფრო დაბალია. თანაც, წარმოიდგინე, როგორ განვიცდი, როცა ვატყობ, მეტოქეები აშკარად უხეშად რომ მეთამაშებიან. ერთი სული აქვთ, როდის მომარტყამენ კოჭებში და დამაშავებენ. ერთი სიტყვით, არად ჩავაგდებდი გულშემატკივრებს და ვიტყოდი, მორჩა, „სიტიდან" მივდივარ-მეთქი, თანაც ეს მიზეზები ზურგს გამიმაგრებდა, მაგრამ პრეზიდენტისთვის რა მომეხერხებინა? წესით და რიგით, ორი წელი ხომ „სიტის" ვეკუთვნოდი. რაც შეეხება ჟუნინიოს, როცა სეზონი მორჩა, იგი თავისუფალი აგენტი გახდა, „მიდლსბროსთან" კონტრაქტი და უმთავრდა და კლუბის ხელმძღვანელებიც ვერანაირად დააკავებდნენ, ყველაფერი თავად ფეხბურთელზე იყო დამოკიდებული. როგორც გადაწყვიტა, ისე მოიქცა.

**— კონტრაქტში ის პუნქტიცაა შეტანილი, რომ თუ „სიტი" პრემიერლიგაში ვერ დაბრუნდა — გაგყიდიან. დავუშვათ, პირველი წრის შემდეგ ნათელი გახდა — ვერ გადადიხართ. მაშინ?**

— თუ პრემიერლიგაში ვერ გადავედით, „სიტის" აუცილებლად დავემშვიდობები.

**— მართალია, კლუბის ხელმძღვანელები რომ არაფერს გეუბნებოდნენ შენით დაინტერესებულ გუნდებზე?**

— კი, მართალია. ყველაფერს მიმალავდნენ და მეც ვერაფერს ვეუბნებოდი, არადა, ნამდვილად ვიცოდი, რამდენიმე მიწვევა რომ მქონდა. არც „ნიუკასლზე" უთქვამთ — თურმე დალგლიშს გადაწყვეტილი ჰქონდა ჩემი მიწვევა. ეს ამბავიც ზურა მეძველიამ შემატყობინა და მხოლოდ ამის შემდეგ დავუკავშირდი ჩემს აგენტს, რომელმაც მითხრა კიდეც ყველაფერი.

**— „ფიორენტინასა" და „გალათასარაიზეც" არაფერი უთქვამთ?**

— მხოლოდ ის ვიცი, რომ „ფიორენტინა" იყო ჩემით დაინტერესებული, მათი მწვრთნელის აზრიც გავიგე ჩემს შესახებ — ქინქლაძე კარგი ფეხბურთელი კი არის, მაგრამ ასეთ ახალგაზრდულ ასაკში მეეჭვება ვინმემ ის თანხა გადაიხადოს მასში, „სიტი" რომ აფასებსო. „გალათასარაიზე" კი საერთოდ არაფერი ვიცი. ეტყობა, ესეც დამიმალეს.

**— ვიღაც თურქი აგენტიც გყოლია.**

— რა თურქი აგენტი? ასეთი არავინ არის. უბრალოდ, ერთი კაცია, ვინც ინგლისში ახალჩასულს ძალიან დამიხმარა... თურქია და ცოტას ქართულად ამტვრევს კიდეც. მე კი იმ დროს ინგლისური საერთოდ არ ვიცოდი და ჩემდა უნებურად ხშირი კონტაქტი მქონდა. ჰოდა, ახლა იბრალებს, გიოს აგენტი ვარ და ყველაფერში მე მიჯერებსო. რაში სჭირდება ასეთი განცხადებები, ვერ გეტყვი. მე მხოლოდ ორი აგენტი მყავს, ორივე ინგლისელია.

**კობა ინასარიძე**

## ახალქალაქი იტალიელებს ესტუმრა

ეროვნული სტადიონის სავალალო მდგომარეობაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ყველა ერთს ამბობდა, შესაკეთებელიაო, მაგრამ ვინ იკისრებდა ამ საქმეს, ადრე გაურკვეველი იყო. მშველელად უეფა და იტალიური ფირმა „ფინეურო კონსალტინგი“ მოგვევლინნენ. ამათ კარგის კეთება უნდოდათ, მაგრამ სტადიონის მეპატრონის ვინაობის გარკვევას იმდენი დრო მოანდომეს, ლამის ყველაფერი ჩაიშალა. ახლა საკითხი ისე დგას, რომ შესაძლოა, ეროვნულმა გუნდმა იტალიასაც ბათუმში უმასპინძლოს, რაც ფეხბურთის ფედერაციას ხელს არ აძლევს. ამათი დიდმოხელეების თქმით, ფედერაციის ერთადერთ შემოსავალს სწორედ ასეთი მატჩებიდან შესული თანხები შეადგენს, საარსებოდ ისლა გააჩნიათ და, თუ ეროვნულ სტადიონზე ჩვენი გუნდი ვერ ითამაშებს, ფინანსური კრახი გარდაუვალიაო.

თითქოს ასე უნდა ყოფილიყო: იტალიელები დღე-დღეზე უნდა ჩამოსულიყვნენ, უეფასაც თავისი წილი უნდა გაეღო, მაგრამ ჯერჯერობით არავინ ჩანს. ფედერაციამ იცადა და ბოლოს ახალკაცი ორშაბათს თავად გაფრინდა იტალიაში. ფედერაციის პრეზიდენტი იტალიური ფირმის წარმომადგენლებს შეხვდება, უეფას პირობებსაც გააცნობს და საბოლოო პასუხით თბილისს დღეს დაბრუნდება.

## „კამაზი“ მიშას უმადლის

„კამაზის“ თავდამსხმელი მიხეილ ჯიშკარიანი გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ მეათე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. ამის მიზეზი „ზენიტთან“ სტუმრად მოგებულ მატჩში მიშას მიერ გაკეთებული ორი საგოლე პასი აღმოჩნდა. „კამაზმა“ 3:0 მოიგო და ჩემპიონატის სტარტზე უფერული თამაში ოდნავ გამოაცოცხლა.

## ფოფხაძე როტორის მკვლელი

გუშინწინ „კრილია“ — „როტორის“ მატჩს რუსეთის თასის ერთ-ერთი ნახევარფინალისტი უნდა გამოევლინა. შინ მოთამაშე სამარელებს ძირითადში მხოლოდ ერთი ქართველი, მარჯვენა მცველი ზურაბ ფოფხაძე ჰყავდათ, რომლის ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე.

### კოლხეთი 6:1 ოდიში

ფოთი. სტადიონი „ფაზისი“

**კოლხეთი:** გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, ტორჩინავა, ლალანიძე (ინიაშვილი 33), ფანჩულიძე, დ. მახარაძე (ბულუხია 74), ე. გვასალია, დარასელია, მ. ქობულაძე

**ოდიში:** გაბელია (ნაყოფია 70), ვახანია, გუჩუა, დიდიძე, მიქაძე, იოსავა, ახვლედიანი, ჯოჯუა (სვირავა 60), ნიტაიშვილი, გაბედავა, კალანდაძე

1:0 მახარაძე (7), 2:0 კაკაჩია (16 პ), 2:1 ნიტაიშვილი (29), 3:1 გვასალია (51), 4:1 გიორგაძე (59), 5:1, 6:1 მახარაძე (64, 66)

**მსაჯი:** ა. ორდჟონიძე (ონი)

## ჩხეიძე ჰომბურგში რჩება

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას გუნდის გაძლიერება განუზრახავს, მაგრამ კონკრეტულად ვის მიწვევას აპირებენ, ჯერ ცნობილი არ არის. მრავალი ვარაუდი გამოითქვა ამა თუ იმ მოთამაშის „დინამოში“ გადასვლის შესახებ. „ჰომბურგში“ მოთამაშე ნიკა ჩხეიძეზეც იყო საუბარი. ჩხეიძეს გერმანიაში დავუკავშირდით. მისი თქმით, კონტრაქტი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ უმთავრდება და, რაც მთავარია, „დინამოდან“ კონკრეტული მიწვევაც არ მიუღია.

### მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი

XXXVII ტური

კოდაკო — ლოკომოტივი 0:2, ავაზა — მრეტები 0:0, იბერია — ჭაბუკიანი 3:0 (ჭაბუკიანი არ გამოცხადდა), მესხეთი — მორკინალი 1:3, ჟინერი — 35 სტუ 3:2, თსუ 2 — შირაქი 5:2, ცხინვალი — დურუჯი 5:1, ასკ — აკადემია 1:1, სამგორი — არმაზი 0:3 (სამგორი არ გამოცხადდა), თორი — დინამო 2 — გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორკინალი | 35 | 29 | 5 | 1 | 87:10 | 92 |
| ლოკომოტივი | 35 | 27 | 7 | 1 | 73:9 | 88 |
| ცხინვალი | 35 | 24 | 2 | 9 | 74:36 | 74 |
| ასკ | 35 | 21 | 4 | 10 | 72:47 | 67 |
| დინამო 2 | 34 | 19 | 8 | 7 | 90:28 | 62 |
| აკადემია | 35 | 18 | 8 | 9 | 71:31 | 62 |
| იბერია | 35 | 19 | 3 | 13 | 61:44 | 60 |
| არმაზი | 35 | 19 | 2 | 14 | 73:55 | 59 |
| კოდაკო | 35 | 17 | 8 | 10 | 53:43 | 59 |
| თორი | 34 | 18 | 4 | 12 | 44:48 | 58 |
| შირაქი | 35 | 14 | 14 | 7 | 50:41 | 56 |
| თსუ 2 | 35 | 12 | 2 | 21 | 44:68 | 38 |
| 35 სტუ | 35 | 8 | 8 | 19 | 51:77 | 32 |
| მესხეთი | 35 | 9 | 3 | 23 | 46:77 | 30 |
| მრეტები | 35 | 7 | 8 | 20 | 35:59 | 29 |
| ჭაბუკიანი | 35 | 6 | 8 | 21 | 32:61 | 26 |
| დურუჯი | 35 | 6 | 7 | 22 | 22:81 | 25 |
| ჟინერი | 35 | 8 | 5 | 22 | 49:111 | 24 |
| სამგორი | 35 | 8 | 4 | 23 | 39:81 | 23 |
| ავაზა | 35 | 2 | 6 | 27 | 27:80 | 12 |

დასავლეთი

XXXI ტური

ტორპედო 2 — ოლიმპია 0:3 (ტორპედო 2 გათამაშებიდან მოხსნილია), ბათუმი 2 — სალხინო 2:1, საპოვნელა — მაღაროელი 0:3, სამეგრელო — კახაბერი 3:0 (კახაბერი არ გამოცხადდა), კოლხეთი 2 — მამისონი 0:3 (მამისონი გათამაშებიდან მოხსნილია), სქური — სულორი 0:3 (სულორი არ გამოცხადდა), ოდიში 2 — მეშახტე 0:1, იმერეთი — მერცხალი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 29 | 26 | 0 | 3 | 91:21 | 78 |
| მეშახტე | 29 | 23 | 1 | 5 | 68:22 | 70 |
| მერცხალი | 29 | 22 | 1 | 6 | 63:27 | 67 |
| ოლიმპია | 29 | 16 | 2 | 11 | 63:45 | 50 |
| კოლხეთი 2 | 29 | 16 | 5 | 8 | 48:20 | 48 |
| სქური | 29 | 14 | 5 | 10 | 45:38 | 47 |
| საპოვნელა | 29 | 13 | 7 | 9 | 51:39 | 46 |
| იმერეთი | 29 | 13 | 3 | 13 | 51:52 | 42 |
| სამეგრელო | 29 | 12 | 6 | 11 | 58:57 | 42 |
| სალხინო | 29 | 13 | 2 | 14 | 43:44 | 41 |
| ბათუმი 2 | 29 | 10 | 5 | 14 | 36:41 | 35 |
| სულორი | 30 | 10 | 5 | 15 | 37:46 | 35 |
| ეგრისი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:35 | 34 |
| ოდიში 2 | 29 | 5 | 3 | 21 | 22:43 | 18 |
| ტორპედო 2 | 29 | 5 | 3 | 21 | 22:69 | 18 |
| მამისონი | 29 | 4 | 3 | 22 | 34:91 | 15 |
| კახაბერი | 30 | 4 | 3 | 23 | 28:107 | 15 |

# იგი წავა და...



# სხვა მოვა?

გარი რედჰედი 32 წლის მანჩესტერელი დურგალია, „იუნაიტედის“ გულშემატკივარი. „კანტონა ჩვენთან ღმერთი იყო — ამბობს ის — მისნაირი სხვა აღარავინ იქნება. კანტონა ამაყი კაცია და ჩვენ მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ. ამიერიდან, თუ იგი ფილოსოფიურ წიგნებს დაწერს, ჩვენ მათ ვიყიდით, თუ მსახიობობას მოჰკიდებს ხელს, ფილმების სანახავად კინოში ვივლით, ხოლო თუ მხატვრობას მოიწადინებს, მის ტილოებს შევიძენთ. ეს კაცი გენიოსია, რომელიც ძალიან გვიყვარს“.

„მას ვერავინ შეცვლის, ის ხომ მესია იყო — აცხადებს სელფორდის უნივერსიტეტის 21 წლის სტუდენტი სელიმ პეიტელი — ერიკს უყვარდა ჩვენი კლუბი, მისთვის ყველაფერი საუკეთესო სურდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან დაგვტოვებდა, მაგრამ მაინც შოკში ვართ. შემოგვხედეთ, როგორ დაბნეულები ვართ, არ ვიცით, რა მოვიმოქმედოთ“.

„ყველა, ვინც თვლის, რომ ჟუნინიო, ან რომელიმე სხვა ფეხბურთელი ერიკს შეგვიცვლის, ცდება და ამაში მალე დარწმუნდება. ვგონებ, კლუბს იგი არ უნდა გაეშვა, რადგან კანტონა ჯერ კიდევ დიდებულია და კარიერის გაგრძელება შეეძლო“ — განიცდის 24 წლის ვინმე ტონი ჩეპმენი, თუმცა სხვა ქომაგი, ბრენდენ დაულინგი, მეტისმეტ პესიმიზმს არ იზიარებს და აცხადებს, რომ შეუცვლელი არავინაა. „მე მიხარია, რომ ერიკი სხვა გუნდში კი არ გადავიდა, არამედ საერთოდ შეეშვა ფეხბურთს, რადგან კანტონა სხვისი მაისურით წარმოუდგენელია“ — თქვა მან.

რომ ეკითხათ, თავის აზრს სხვა, ათიათასობით მანჩესტერელიც გამოთქვამდა. გამოთქვამდა დიდი აღელვებითაც, რადგან ინგლისის ამ ქალაქში კვირა საღამოს მერე სხვა სალაპარაკო თემა არ არსებობს, ერთია მხოლოდ — კანტონა, ვინც შაბათს 31 წლის გახდება, ფეხბურთიდან წავიდა. თუმცა მხოლოდ მანჩესტერი რას მიქვიან, ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ტელეარხი SKY NEWS-ი ფრანგის ამბავს უპირველეს ცნობად ატრიალებს და გაუთავებლად, სხვადასხვა კუთხით განიხილავს.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ გულშემატკივართა პრეს-ატაშეც ჰყავს. ამ თანამდებობაზე ენდი უოლში მუშაობს, რომელმაც თქვა, რომ კანტონამ კლუბის ისტორიაში უდიდეს ვარსკვლავთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. მეტიც, მისი აზრით, „იუნაიტედის“ არსებობის მანძილზე არ ყოფილა მოთამაშე, რომელსაც ქომაგთა ისეთი სიყვარული მოეპოვებინოს, ერიკმა რომ მოიპოვა“.

„იგი უდიდესი მოვლენა იყო არა მხოლოდ თავისი გუნდისთვის, არამედ ზოგადად ინგლისური ფეხბურთისთვის — თქვა უოლშმა — მან მოედანს რაღაც ჯადოსნური შემატა. იგი დანკან ედვარდსის და სხვა მისებრთა ლეგენდარულ კამპანიაშია. ერიკი გულშემატკივრებთან ყოველთვის ახლოს იყო. იგი საწვრთნელ მოედანს ბოლო სტოვებდა, რადგან მოთმინებით არიგებდა ავტოგრაფს. საუბარზე არასდროს დაგვზარდებოდათ. მას ყოველთვის ეცალა იმ ხალხისთვის, ვისაც ფეხბურთი უყვარს“.

კანტონას ფეხბურთიდან წასვლამ მის სამშობლოშიც უდიდესი რეზონანსი გამოიწვია. ამასწინათ, გამოკითხვაში, ფრანგ გულშემატკივართა სამოცდათექვსმეტმა პროცენტმა იგი გაისინდელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნაკრების უპირველეს კანდიდატად დაასახელა. თანაც, მოგეხსენებათ, პირველობა ერთი წლის შემდეგ სწორედ საფრანგეთში ტარდება და მასზე იქაურები უდიდეს იმედს ამყარებენ.

— არ ვარ დარწმუნებული, რომ მან მართლა დაანება ფეხბურთს თავი — განაცხადა „ოსერის“ მწვრთნელმა გი რუმ — დიდი ვარსკვლავები კარიერაში რამდენჯერმე აცხადებენ, რომ მეტს აღარ ითამაშებენ.

გი რუმ კანტონა ჯერ კიდევ 1983 წელს შენიშნა, როდესაც ყმაწვილი ერიკი „მარსელში“ პირველ ნაბიჯებს დგამდა და თავისთან, „ოსერში“ გადასვლა შესთავაზა. რუმ განაცხადა, რომ იგი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის მეორე მატჩის („მანჩესტერმა“ „დორტმუნდთან“ 0:1 რომ წააგო) შემდეგ ელაპარაკა „იუნაიტედის“ ვარსკვლავს და ამ საუბრისას ფეხბურთელს მსგავსი არაფერი უთქვამს.

თუმცა, კანტონას რას გაუგებ. აი, „იუნაიტედის“ ერთ-ერთი ფეხბურთელს ნიკი ბათს მოვუსმინოთ:

— კვირას მანქანით შინ მივდიოდი და რადიო მქონდა ჩართული. უცებ გამოაცხადეს, რომ ერიკმა ფეხბურთს თავი დაანება. ვისმენდი და არ მჯეროდა. იგი ყოველთვის გვაოცებდა. გვაოცებდა მოედანზე თავისი თამაშით, დიდებული ტექნიკით. ახლა მოულოდნელი გადაწყვეტილებით გაგვაოცა. მას წინასწარ არავისთვის უთქვამს ამის შესახებ. სურდა, რომ უკლებლივ ყველას ერთდროულად შეეტყო ახალი ამბავი და სწორედაც მოიქცა. გულშემატკივრებს იგი ისევე უყვარდათ, როგორც ჩვენ, ჰოდა, რატომ უნდა ეთქვა ჩვენთვის მათზე ადრე, რომ ფეხბურთიდან მიდის? ის ზედმიწევნით სამართლიანად მოიქცა. ერიკი შთამაგონებელი იყო, დანარჩენები მას შევყურებდით და მივსდევდით. ის დიდი მოთამაშე და დიდი ფიგურა იყო, როგორც მეგობარს კი ძალიან მომენატრება. და მაინც, გადახედეთ ისტორიას. ამასვე ამბობდნენ ბრაიან რობსონსა და მარკ ჰიუზზე, მაგრამ თანდათან ყველაფერი კალაპოტში დგებოდა, მოდიოდნენ ახალი ფეხბურთელები. რას იზამ, ეს ცხოვრების წესია. მწამს, რომ წარმატებულ სვლას მის გარეშეც განვაგრძნობთ, რადგან ძალიან კარგი გუნდი გვყავს. თუ ახალ მოთამაშეს შევიძენთ, მჯერა, ერიკის დონისა იქნება და ამიტომაც საშიში არაფერია. ხალხი გვეუბნება, ძალიან ახალგაზრდები ხართო. კი მაგრამ, ჩვენი უმრავლესობა ხომ 22 წლისაა, ბავშვები აღარ ვართ, ჩვენხელა ხალხს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი აქვს ნათამაშევი.

კანტონას ერთხელ, ადრე, უკვე უთქვამს, ფეხბურთს თავს ვანებებო. მაშინ 1991 წლის დეკემბერი იდგა, თავდამსხმელი „ნიმში“ გამოდიოდა და ცუდი პერიოდი ჰქონდა. მისი სიტყვები იყო: „მოვრჩი, ფეხბურთს ველარ ვიტან“. ამის შემდეგ კი იგი „ლიდს იუნაიტედში“ გადავიდა, საიდანაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიაშურა და კარიერის უბრწყინვალესი პერიოდი დაიწყო. ახლა? ნუთუ საბოლოოდ, მართლა წავიდა? ანკი რატომ წავიდა?

ჭორების გარეშე ამქვეყნად არაფერი ხდება. ცხადია, კანტონას განცხადებასაც მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ფრანგულ პრესაში დაიწერა, რომ კანტონას გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ინგლისურმა კლუბმა მასთან კონტრაქტის განახლება აღარ ისურვა. ერთ-ერთმა გაზეთმა მოიშველია ფეხბურთელის ადვოკატის ჟან ჟერერანის ვარაუდი ამის თაობაზე. არც ისაა გასაკვირი, რომ მისმა ქცევამ თავად მანჩესტერელ ქომაგებსაც ზარი დასცა.

— ჩემთვის რაიმე კომენტარის გამოთქმა უაზრობა იქნება, რადგან თავის დასაცავი არაფერი მჭირს. ასეთი ჭორები სისულელეა. კონტრაქტის განახლების თაობაზე უსიამოვნება ვერ მოგვივიდოდა, რადგან ამ თემაზე საერთოდ არ გვილაპარაკია — განაცხადა „იუნაიტედის“ თავმჯდომარემ და აღმასრულებელმა შეფმა მარტინ ედვარდსმა.

თავისი აზრი გამოთქვა კანტონას ცოლისძმამ, „მარსელის“ ნახევარმცველმა ბერნარ ფერერმა: — ინგლისში გატარებულმა ექვსმა წელიწადმა ერიკი დაღალა, მაგრამ ვფიქრობ, თამაში მაინც სურს. იქნებ დასვენება სჭირდება კიდეც, თუმცა შესაძლოა მერე საქმეს დაუბრუნდეს.

აზრი ჰკითხეს ერიკის ძმას, ჟოელსაც: „მას შეუძლია ერთ წუთას გაგაოგნოს, მერე კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად მოიქცეს. ვფიქრობ, მომავალში სხვა დარგებშიც შეძლებს თავის გამოჩენას. არ გამოვრიცხავ, რომ მწვრთნელი გახდეს. დღეს კი რამდენიმე საქმეს მისდევს: ნადირობს, ხატავს, მოღვაწეობს კინოსა და თეატრში. საერთოდ, ერიკი თავნება კაცია — ასე განსაჯეთ, მისი გეგმები ჩვენ, ოჯახის წევრებმაც კი არ ვიცოდით“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი: — რას იზამ, ცხოვრება გრძელდება, თუმც კანტონა დიდი ფეხბურთელი იყო და მისმა წასვლამ მეტისმეტად დაგვწყვიტა გული. ახლა სამომავლო გეგმების დასახვა გვმართებს, ვიყიდით ორ ან სამ ახალ მოთამაშეს.

კანტონამ კარიერა გასულ პარასკევს, ქოვენორიში, დევიდ ბასეტის გამოსათხოვარ მატჩში დაასრულა. არადა, იმ დღეს არავინ იცოდა, რომ ეს შეხვედრა მისთვის ბოლო იყო. ეს ორი დღის შემდეგ გაირკვა. ერიკმა ორი გოლი გაიტანა, თამაშის შემდეგ კი მაისური გაიხადა, ზედ ავტოგრაფი დაასვა და ბასეტს უსახსოვრა. ბასეტი ის კაცია, ცამეტი თვის წინ „იუნაიტედთან“ შეხვედრაში საშინელი ტრავმა რომ მიიღო და იძულებული შეიქნა ფეხბურთს ჩამოშორებოდა.

— ის, რომ კანტონამ კარიერის დასრულება დევიდისადმი მიძღვნილ შეხვედრაში გადაწყვიტა, დიდი პატივია — განაცხადა ბასეტის აგენტმა მარდო მაკიმ — ის დიდებული ადამიანია, ამ თამაშს სერიოზულად მოეკიდა, არ უცუღლუტია. დევიდი ისედაც აღფრთოვანებული იყო, რომ საჩუქრად ავტოგრაფიანი მაისური მიიღო, ახლა კი, როცა გაირკვა, რომ ის მაისური კანტონას უკანასკნელ მატჩში ეცვა, მას უეჭველად სეიფში შეინახავს.

მაშ ასე, ფრანგმა ვარსკვლავმა ფეხბურთს თავი დაანება. ცხადია, ამით შემოსავალი შეუმცირდება, მაგრამ მისი სპონსორი „ნაიკი“ კონტრაქტს ჯერ არ ურღვევს და საზაფხულო რეკლამებში შეთანხმებისამებრ აპირებს მის ჩართვას.

და მაინც, რა გზას აირჩევს კანტონა მომავალში?

1994 წელს, ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მას ტელეარხ FRANCE-2-ის მაყურებლისთვის ჟურნალისტ დიდიე რუსტანთან ერთად მიჰყავდა რეპორტაჟები. ასე რომ, ერიკი კომენტატორობის საქმეშიც გამოცდილია. სხვათა შორის, მას მერე კანტონამ რუსტანი პროფესიონალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარედ დანიშნა. ეს ის ასოციაციაა, დიეგო მარადონამ რომ დააფუძნა ორი წლის წინ ერიკთან და სხვა ვარსკვლავებთან ერთად. არაა გამორიცხული, რომ კანტონა ამიერიდან ასოციაციის საქმიანობაში ჩაებლოს აქტიურად.

მას კინოშიც მოუსინჯავს ძალა. ფილმს, რომელშიც ერთ-ერთი როლი შეასრულა, „ბედნიერება მდელოზე“ ჰქვია.

და კიდევ. კანტონა ალბათ სწორად მოიქცა, საუკეთესო წლებში რომ გამოემშვიდობა საქმეს. იგი ბრწყინვალედ დაამახსოვრდებათ.

— მე ერიკს ბავშვობიდან ვიცნობ. ორივენი მარსელის ერთ გარეუბანში ვცხოვრობდით — თქვა საფრანგეთის დიდი ნაკრების ვარსკვლავმა, ახლა „მონაკოს“ წარმატებულმა მწვრთნელმა ჟან ტიგანამ და გზა დაულოცა — გულწრფელად ვუსურვებ, ახალი ცხოვრებაც ბრწყინვალე ჰქონოდეს.

**პაპუნა ძიდია**


# ბავშვთა კვება

**Gerber**

ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების ჯანმრთელობაა

☎ 39-47-83

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიის** თასის ფინალის პირველი შეხვედრა პორტუ-ალეგრეს „გრემიომ“ და რიო დე ჟანეიროს „ფლამენგომ“ 0:0 დაასრულეს. „გრემიომ“ თითქმის ერთი საათი ათი კაცით ითამაშა, რადგან დინიო გააძევეს. მეორე ნახევარში „გრემიოს“ ერთ-ერთი მწვრთნელი მოედანზე შეიჭრა და მსაჯმა ისიც დასაჯა. განმეორებითი შეხვედრა დღეს გაიმართება.

**კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელმა ერნან დარიო გომესმა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატისთვის არ გამოიძახა კარლოს ვალდერამა და ცენტრალური მცველი ხორხე ბერმუდესი. მისივე განცხადებით, კონტინენტის პირველობაზე, შესაძლოა, ლეონელ ალვარესმა, ფრედი რინკონმა და ფაუსტინო ასპრილიამაც არ ითამაშონ.**

**ლუქსემბურგის** თასის გათამაშების ნახევარფინალში უეფას თასზე თბილისის „დინამოს“ შარშანდელმა მეტოქემ „გრევენმახერმა“ შინ 1:2 წააგო „ჟენეს ეშთან“. მეორე ნახევარფინალში „პიტანჟმა“ „უნიონ ლუქსემბურგთან“ დათმო — 1:3.

**რუსეთში გაიმართა თასის მეოთხედფინალის ბოლო ორი მატჩი. მოსკოვის „ტორპედომ“ თანაქალაქელ „ლოკომოტივთან“ წააგო 1:2, ხოლო სამარის „კრილია სოვეტოვმა“ 1:0 სძლია ვოლგოგრადის „როტორს“. ამრიგად, ნახევარფინალში 27 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „დინამო“ და სანქტ-პეტერბურგის „ზენიტი“, 28 მაისს კი „კრილია სოვეტოვი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“. მასპინძელთა ვინაობა დღეს წილისყრით გაირკვევა, ფინალი კი 11 ივნისს მოსკოვში გაიმართება.**

**ინგლისის** „ჩელსიმ“ ჰონკონგური ტურნეს პირველ შეხვედრაში ქალაქის სამხრეთის ნაკრები დაამარცხა 3:2. სტუმრები პირველ ნახევარში ვიალის ორი და დი მატეოს გოლების წყალობით 3:0 იგებდნენ. ბრიტანელები ჰონკონგში კიდევ ორჯერ ითამაშებენ.

**შვეიცარიის თასის ნახევარფინალში „ლუცერნმა“ და „სიონმა“ იმარჯვეს, რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს „შაფჰაუზი“ 2:1 და „ფრიბურგი“ 5:2. ფინალი 8 ივნისს გაიმართება.**

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი წევრი კრის უოდლი „სანდერლენდიდან“ მიდის. 36 წლის უოდლმა, რომელიც ადრე „ნიუკასლში“, „ტოტენჰემში“, „მარსელში“, „შეფილდ უენსდეიში“ და „ბრედფორდში“ თამაშობდა, სეზონის ბოლოს „სანდერლენდში“ შვიდი მატჩი ჩაატარა, ერთი გოლიც გაიტანა, მაგრამ პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლ თავისიანებს ვერაფრით დაეხმარა. უოდლი კარიერას მოყვარულთა გუნდში გააგრძელებს.

**ესპანეთის „დეპორტივომ“ ბრაზილიელი ლუიზაო შეიძინა „პალმეირასიდან“. ლა-კორუნიელებმა ახალგაზრდა ფორვარდში 4 მილიონ 800 ათასი დოლარი გადაიხადეს და იქვე განაცხადეს, ვინც მის შეძენას მოისურვებს, 48 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევსო. ლუიზაო „დეპორტივოს“ მეექვსე ბრაზილიელია რივალდოს, რენალდოს, მაურო სილვას, დონატოს და ფლავიო კონსეისაოს შემდეგ.**

**შოტლანდიის** „კილმარნოკმა“ მწვრთნელ ბობი უილიამსონს თასის ფინალში გასვლა დაუფასა და სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაზეც უილიამსონი დაყაბულდა. მწვრთნელმა მოაწერა თუ არა კონტრაქტს ხელი, თქვა, ძალიან მიხარია „კილმარნოკს“ 21-ე საუკუნეში რომ გავუძღვებიო. მისი დაპირებით, მომავალში გუნდის დიდი პროგრესის მოწმენი გახდებიან.

**ბრაზილიელ ჟუნინიოში პრემიერლიგიდან გავარდნილ „მიდლსბროს“ მადრიდის „ატლეტიკომ“ 13 მილიონი დოლარი შესთავაზა და თან ფეხბურთელის გასაგონად დაამატა, კვირაში 65 ათას დოლარს მივცემთო. „მიდლსბრო“ ესპანელთა წინადადებაზე ფიქრობდა, როცა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გავარდნილებს განუცხადა, რომ ტექნიკური ბრაზილიელის სანაცვლოდ, რომელშიც კანტონას შემცვლელს ხედავენ, 26 მილიონს გადაიხდიან.**

**ბულგარეთის** ნაკრების მწვრთნელმა ხრისტო ბონევმა 8 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლუქსემბურგელებთან სათამაშოდ არ დაუძახა ევროპის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელს ხრისტო სტოიჩკოვს. ბონევმა თქვა, რამდენჯერაც გამოვიძახე, არ ჩამოვიდა და სულაც არ ვაპირებ, ხვეწნა დავუწყოო. სტოიჩკოვის დარად, ბონევმა არც რადოსტინ კიშიშევი მიიწვია, რომელსაც აქამდე ყველა შესარჩევ მატჩში უთამაშია. კარგა ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდნენ ლუბოსლავ პენევი და იორდან ლეჩკოვი. ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ ბონევმა იხმო: მეკარეები ზდრავკო ზდრავკოვი (სლავია) და დიმიტარ პოპოვი (მარიცა); მცველები: გიორგი ანტონოვი (ლოკომოტივი), ტრიფონ ივანოვი (რაპიდი, ვენა), ცანკო ცვეტანოვი (აბერდინი), დობრომირ მიტოვი (ცსკა), სტანიმირ გოსპოდინოვი (ლევსკი); ნახევარმცველები: ზლატკო იანკოვი (ბეშიქთაში), კრასიმირ ბალაკოვი (შტუტგარტი), იორდან ლეჩკოვი (მარსელი), ანატოლი ნანკოვი (ცსკა), ვიქტორ პავლოვი (ლევსკი), ივაილო პეტკოვი (პლოვდივის სპარტაკი), ივაილო იორდანოვი (სპორტინგი), კოსტადინ ვიდოლოვი (ბურსასპორი), მიტკო ტრენდაფილოვი (ნეფტოხიმიკი); თავდამსხმელები: ემილ კოსტადინოვი (ფენერბაჰჩე), ლუბოსლავ პენევი (კომპოსტელა), გიორგი დონკოვი (ბოხუმი), დანიელ ბორიმიროვი (მიუნხენ 1860), ივაილო ანდონოვი (ცსკა), ილიან ილიევი (ბენფიკა).

**ინგლისის პრემიერლიგიდან გავარდნილი „ნოტინგემი“, რომელიც 1979-80 წლებში ჩემპიონთა თასს ფლობდა, ჰოლანდიელ ბრაიან როის და ხორვატ ნიკოლა იერკანს ჰყიდის. მიუხედავად კონტრაქტისა, კლუბმა ორივეს გაშვება იმიტომ განიზრახა, რომ ბოლო დროს როისა და იერკანის ურთიერთობა მწვრთნელ დეივ ბისეტთან ერთობ დაიძაბა.**

**ესპანეთის** ჩემპიონატის ბოლო ტურის ბოლო შეხვედრაში თასების თასის მომგებმა „ბარსელონამ“ 3:1 მოუგო ვიგოს „სელტას“. ორი ბურთი ოსკარ გარსიამ გაიტანა, მესამე კი, ბოლო წუთებში, რონალდომ, რომელმაც 33 გოლით უფრო გაიმყარა ბომბარდირის პოზიცია. მანამდე, 2:0-ის მერე, „ბარსელონა“ მოეშვა და მასპინძელთა ებრაელმა თავდამსხმელმა რევივომ ერთი გაქვითა.

**იტალიელი სტეფანო ერანიო სამი წლით პრემიერლიგის „დერბი ქაუნთიში“ გადავიდა. „მილანის“ ნახევარმცველს კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და, ბოსმანის წესის თანახმად, თავისუფალი აგენტი ხდება, რის გამოც ინგლისელები მასში არაფერს გადაიხდიან.**



სტეფანო ერანიო

**ავსტრიის** პირველი ლიგის საფეხბურთო კლუბებმა „ლინცერმა“ და „ლინცმა“ მომავალი სეზონიდან გაერთიანება გადაწყვიტეს. ორი კლუბის ხელმძღვანელებმა ამის თაობაზე გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ისაუბრეს. მათი თქმით, ახალ გუნდს „ლასკ ლინცი“ ერქმევა და ითამაშებს იმ ფორმით, რომლითაც აქამდე „ლინცერი“ თამაშობდა — შავ-თეთრ ზოლიანი მაისურები და შავი შორტები.

## რონალდო და სხვანი...

აპრილში რონალდომ განაცხადა, სეზონის ბოლოს შესაძლოა „ბარსელონა“ დავტოვოო და პრესასაც საქმე მიეცა — დაიწყო ათასგვარი ვარიანტების გათვლა-გამოთვლა, გავრცელდა უამრავი ჭორი. ბევრმა კლუბმა განიზრახა მისი გადაბირება. მოკლედ, რონალდოზე ყოველდღე ახალ-ახალი ცნობა ვრცელდება. ახლახან მილანში გამომავალმა გაზეთმა „კორიერე დელა სერამ“ ბრაზილიელი სუპერფორვარდი გარეკანზე გამოჭიმა, თან წააწერა — „ინტერს“ და რონალდოს ერთი ნაბიჯიღა აშორებთო. ისიც ეწერა, რონალდომ „ბარსელონასთან“ კონტრაქტის გაწყვეტა ისურვა და „ინტერმა“ მის სანაცვლოდ კატალონიელებს 70 მილიონი დოლარი შეაძლიაო. იქვე იყო ცნობა, რომ თუ რონალდო 2005 წლამდე დარჩება „ინტერში“, მისი წლიური გასამრჯელო 4 მილიონ 700 ათასი დოლარი იქნება. „კორიერე დელა სერას“ დარად, „კორიერე დელო სპორტიც“ ირწმუნება, მსოფლიოს უძლიერესი ფორვარდი გაისად ჩვენთან ითამაშებსო. „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი იძულებული გახდა, ტელევიზიით გამოეთქვა აზრი. მისი თქმით, რონალდოს „ინტერში“ გადასვლაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა გამორიცხული არ არის. თანაქალაქელთა მსგავსად, „მილანის“ წარმომადგენლის ცნობით, რონალდო ერთ-ერთი იმათგანია, ვისი შესყიდვაც სურთ. გაზეთების ცნობით, რონალდოს გარდა „ინტერმა“ თურმე გაბრიელ ბატისტუტასაც დაადგა თვალი. თუ ეს ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, „ინტერს“ მომავალ სეზონში ევროპაში და შესაძლოა მსოფლიოშიც თავდასხმის უძლიერესი წყვილი — რონალდო-ბატისტუტა ჰყავდეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბატისტუტას თურმე „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ეკურკურება, გუნდი, რომელიც ერთობ შეუშფოთებია კანტონას მოულოდნელად წასვლას. ინგლისელებს გაბრიელის გარდა რობერტო ბაჯოც სდომებიათ, მაგრამ ოფიციალური მოლაპარაკებები ჯერჯერობით არ დაუწყიათ. თავად რობერტო მთელი სეზონი ამბობდა, „მილანში“ აღარ გავჩერდები, შესაძლოა, ინგლისში ანაც საფრანგეთში მოვსინჯო ძალაო. ბაჯოსთვის მარსელელებსაც დაუდგამთ თვალი. რობერტოს გარდა ალექს ფერგიუსონი ჟუნინიოს გადაბირებასაც ცდილობს — რა უნდა პირველ დივიზიონში, ჩვენთან წამოდი, ჩემპიონთა ლიგაში გათამაშებო. თავად ბრაზილიელიც არაა უარზე, მაგრამ „მიდლსბროს“ ერთობ უჭირს მისი გაშვება, ისევე როგორც რავანელისა. ჩემპიონის მსგავსად, ინგლისის თასის მფლობელი „ჩელსიც“ არაფერს იშურებს დიდი მიზნების მისაღწევად და „სკუადრა აძურას“ კაპიტანს პაოლო მალდინის შეეხმიანა, ჩვენთან გადმოსვლაზე რას იტყვიო. „მილანს“ პაოლოს სანაცვლოდ „ჩელსიმ“ 13 მილიონი დოლარი შესთავაზა. სანამ „ჩელსი“ ამას მოაგვარებდეს, ერთ საქმეს უკვე თავი დაადგა — ექს-იუვენტუსელი ვიალის გაშვება გადაიფიქრა. ლონდონელთა პატრონმა კენ ბეიტსმა თქვა, ჯანლუკა ბრწყინვალე ფორვარდია და ვერ გავუშვებთო. ვიალის ყოფილი გუნდის „იუვენტუსის“ წარმომადგენელმა ლუჩანო მოჯიმ კი დელ პიეროსა და ვიერის ირგვლივ გავრცელებული ჭორები გაფანტა — ამათ ვერავინ გადაიბირებს, სანამ ამას ჩვენ არ მოვისურვებთო. ახლახან ტურინელებს მადრიდის „ატლეტიკომ“ ვიერის სანაცვლოდ 15 მილიონი დოლარი შესთავაზა. „იუვენტუსმა“ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა, თუმცა 23 წლის თავდამსხმელის გაყიდვისგან მაინც თავი შეიკავა.

**ლაშა გოდუაძე**

## თანამასპინძელთა მატჩი

გუშინ ტოკიოში 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთად მასპინძლობის აღსანიშნავად იაპონიამ და სამხრეთ კორეამ ითამაშეს. მეტოქეები 1954 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს და მას შემდეგ სამხრეთკორეელებმა 32-ჯერ იმარჯვეს, იაპონელებმა მხოლოდ 9-ჯერ, 13 შეხვედრაში კი მშვიდობიანად გაიყარნენ. უკვე 25 წელია, იაპონიას მეტოქე შინ ვერ დაემარცხებინა და ვერც ამჯერად შეძლო დათარსული სერიის შეწყვეტა — გუშინდელი მატჩი, რომელსაც 60 ათასი მაყურებელი დაესწრო, 1:1 დამთავრდა. თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ ჩანგ ჩულის გოლის წყალობით, მერე კი მასპინძლებმა გააყაიმეს. თამაშის მერე იაპონელთა მწვრთნელმა კამომ თქვა, ფრეს მიუხედავად, თამაშით კმაყოფილი ვარო.



ეს ცხვირი რა გახდაო, დაღონებულია გლენ ჰოდლი

# ჰოდლმა ცხვირი ჩამოუშვა

## მიზეზი ფაულერის ცხვირია

გლენ ჰოდლმა ცოფები ჰყარა, გაგიჟდა, გახელდა, გადაირია. სამშაბათს ჩეშირში, დღის პირველ საათზე, ინგლისის ნაკრების ბაზაზე მის მიერ დაბარებული ყველა მოთამაშე გამოცხადდა ლივერპულელი სტივ მაკმანამანისა და რობი ფაულერის გარდა. გავიდა ორი საათი და ფაქსის აპარატმა გადმოაფურთხა წერილი, რომელშიც „ლივერპულის“ შეფები ჰოდლს ატყობინებდნენ, სტივი და რობი ტრავმირებულნი არიან და ნაკრების ახალ კამპანიაში მონაწილეობას ვერ მიიღებენო. ეს ახალი კამპანია მოიცავს შაბათის ამხანაგურ შეხვედრას სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან, 29 მაისის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პოლონეთში და საფრანგეთის ოთხთა ტურნირს მასპინძლების, ინგლისელების, იტალიელების და ბრაზილიელების მონაწილეობით.

— გაწბილებული და აღშფოთებული ვარ — თქვა ჰოდლმა — ასე, რაც ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დამნიშნეს, არაფერს გამოვუყვანივარ წონასწორობიდან. ფაქსის მიღების შემდეგ „ლივერპულთან“ გამუდმებულ კავშირში ვიყავი, მინდოდა გამეგო, პოლონელებთან შეხვედრისთვის მაინც თუ შეიძლებოდა მაკმანამანის და ფაულერის გამოძახება. უამრავჯერ ველაპარაკე როი ევანსს. ხომ იცით, როცა საქმე ტრავმებს ეხება, ცოტას კლუბი თმობს, ცოტასაც ნაკრები. ვერაფერს გავხდი. სტივის ამბავი უფრო გასაგებია, დიდი ხანია მუხლი აწუხებს და შესაძლოა ჯანმრთელობის აღსადგენად ერთი ხანი მართლაც უნდა დაისვენოს, მაგრამ რობის შემთხვევა სხვაა. მისი ცხვირის ოპერაცია ამდენ ხანს მოთავებული უნდა ყოფილიყო. მოგეხსენებათ, ფაულერმა ჩემპიონატის მიწურულს დისკვალიფიკაცია მიიღო და ბოლო სამ ტურში ვეღარ ითამაშა, ამიტომაც, იგი ვალდებული იყო მკურნალობას მაშინვე შედგომოდა. ლივერპულელი ექიმები ამბობენ, მოსაშუშებლად ექვსი კვირა დასჭირდებაო, მაგრამ მე ვიცი, რომ ამგვარი ოპერაციის შემდეგ ხალხი მოედანს სამ კვირაში უბრუნდება. ასე რომ, ფაულერი დისკვალიფიკაციის მიღებისთანავე რომ დაწოლილიყო საავადმყოფოში, პოლონეთთან თამაშისთვის მზად იქნებოდა. სხვათა შორის, ლივერპულიდან ახსნა-განმარტებანი კი მრავლად მივიღეთ, მაგრამ სამედიცინო დასკვნა თვალითაც არ გვინახავს. ყველაზე მეტად კი იმან აღმაშფოთა, რომ წინასწარ არაფერი შემატყობინეს და მას მერე, რაც შემადგენლობა დავასახელე, ფაქტის წინაშე დამაყენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ხელიდან „ნიუკასლის“ თავდამსხმელი ლეს ფერდინანდიც გამოეცალა. ფერდინანდს, რომელმაც ქართველებს გასული წლის 9 ნოემბერს, თბილისში მწარედ დაგვამახსოვრა თავი, თიაქარი აქვს მისახედი.

— მან იცოდა, რომ სამკურნალო იყო, მაგრამ სეზონის ბოლომდე არაფერი ილონა — განაცხადა ნიუკასლელთა ფიზიოთერაპევტმა დერეკ რაიტმა.

დაშავებულები არიან გარი პალისტერი და პოლ მერსონიც. მერსონის ნაცვლად ჰოდლმა „ნორვიჩ სიტის“ ახალგაზრდა მოთამაშე დარენ იდი გამოიძახა, პალისტერის ადგილს კი ტოტენჰემელი მცველი ჯონ სქეილზი შეავსებს. 30 წლის სქეილზი ლონდონის გუნდში დეკემბერში „ლივერპულიდან“ 2,7 მილიონ დოლარად გადავიდა, მაგრამ გადასვლამდე და მერეც ტრავმებს ჰყავდა დატანჯული და სრულყოფილად, გაზაფხულზე, მხოლოდ ათი თამაშის ჩატარება მოახერხა. აქამდე მას ნაკრებში სამჯერ ჰქონდა ნათამაშევი — 1996 წელს, „უმბროს“ თასზე.

თავდასხმაში, ფაულერის და ფერდინანდის არყოფნის გამო, შანსი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ზანგ ფორვარდს ენდი კოულს მიეცა. კოულს ადრე მხოლოდ ერთხელ აქვს ეროვნულ გუნდში ნათამაშევი. ეს იყო 1995 წლის მარტში, „უემბლიზე“, ურუგვაელებთან შეხვედრაში, რომელიც 0:0 დასრულდა და რომელშიც კოულმა შემცვლელად მიიღო მონაწილეობა. მაშინ ნაკრების თავკაცი ტერი ვენეიბლზი იყო, კოული კი იმ მატჩიდან ერთ თვეში 7 მილიონ გირვანქად „ნიუკასლიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. მაშინ ეს თანხა სარეკორდო იყო. მას მერე, ორწელიწადნახევარში, კოულმა მხოლოდ 32 გოლი შეაგდო, თუმცა ბოლო ტრავმის შემდეგ ნელნელა ემსგავსება იმ ფეხბურთელს, სეზონში ორმოცდაერთჯერ რომ გაიტანა და „ნიუკასლის“ საუკეთესო შედეგი დაამყარა.

და ბოლოს, პოლ გესქოინზე. გაზა ბაზაზეა და ვარჯიშობს. მართალია, იანვარში ამსტერდამის ექვსკაცა ფეხბურთის ტურნირზე მიღებული ტრავმის გამო თავის კლუბში, „გლაზგო რეინჯერსში“ თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთხელ ითამაშა, მაგრამ ორიოდე დღის წინ ჟურნალისტებს განუცხადა, თავს საუცხოოდ ვგრძნობო. უქმეებზე იგი ტორქუეიში გახლდათ, „ნიუკასლში“ თამაშის დროინდელი მეგობრის, ვეს სორდერსის გამოსათხოვარ მატჩზე. გაზას გუნდში ცნობილთაგან კრის უოდლი და პიტერ ბერდსლი თამაშობდნენ. უოდლი, სხვათა შორის, კარში იდგა. გაზამ და კამპანიამ „ტორქუეი XI“-ს 8:6 მოუგო.

— მიყვარს ვინმესადმი მიძღვნილი მატჩები, გულიანად ვთამაშობ ხოლმე. ნეტავ ამ დღეებში კიდევ გაიმართოს — თქვა პოლმა, რომელსაც გაზეთებმა ერთი ამბავი აუტეხეს, შეხვედრის მერე მაგრად ილოთაო. ჰოდლმა ეს ცნობა გააპროტესტა:

— ეს სიცრუეა, ისევე როგორც 50 პროცენტი იმისა, რასაც მასზე წერენ ხოლმე. პოლი ჩემთან მოვიდა და ყველაფერი მიამბო.

**გიგა კობახიძე**

# ჯადოსნური ფორმულა არ არსებობს

**მოსაღამოვდა. ჩვენ მილანიდან ჩრდილოეთით, 40 კილომეტრში, აპიანო ჯენტილეში მდებარე „ინტერის" საწვრთნელ ბაზაზე ვიმყოფებით. პირისპირ დავრჩით, ფეხბურთელები ერთობ დამღლელი ვარჯიშის შემდეგ გასახდელში შევიდნენ, მხოლოდ იური ჯორკაეფი დარჩა მინდორზე და ალპებში ჩამავალი მზის ფონზე ჯარიმის დარტყმას ხვეწს.**

**მზის ჩასვლა აქ დიდებული სანახავია, მაგრამ როი ჰოჯსონი ზაფხულიდან კომოს ტბას ზურგს შეაქცევს და ლანკაშირში გადასახლდება. ჰოჯსონი, ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი უწარმატებულესი მწვრთნელი, ის კაცია, „ბლექბერნის" მეპატრონეს ჯეკ უოქერს სტაბილურობისა და მიღწევების გარანტად რომ მიაჩნია. სახელგანთქმული გუნდის პრემიერლიგის მაჩანჩალაზე გაცვლა ბევრის აზრით უკეთესი სამსახურის პოვნა სულაც არაა, მაგრამ ჰოჯსონი სირთულეს ეძებს და იქნებ საკუთარ თავსაც არ უტყდება, მაგრამ იტალიასთან, განსაკუთრებით კი აქაურ პრესასთან, განშორება სურს. სხვა საქმეა „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი, რომელსაც მართალია შიგადაშიგ უთქვამს, გუნდს უკეთ თამაში შეუძლიაო, მაგრამ სახალხოდ მწვრთნელი არასდროს გაუკრიტიკებია. კროიდონში (ქალაქია, რომელიც ლონდონს სამხრეთით ებმის) დაბადებული ჰოჯსონი „ინტერს" უთუოდ გაძლიერებულს დატოვებს, იმასთან შედარებით, რაც ჩაიბარა. აქ, აპიანო ჯენტილეში, მისი კაბინეტის კედლებზე შვედეთსა და შვეიცარიაში მიღწეულ წარმატებათა ამსახველი სურათებია გამოკრული. მიუხედავად რთული დღისა, ის მშვიდად ზის და სასაუბროდ მზადაა.**

**— სეზონის წინ გუნდში ბევრი რამ შეცვალეთ. გაამართლა ცვლილებებმა?**

— ცუდი არ გამოდგა. ჩვენ 16 ფეხბურთელი გავყიდეთ და 9 ვიყიდეთ. ამ ცხრიდან ორმა ვერ ითამაშა, მათ შორის კანუმ, რომელსაც გულის ავადმყოფობა აღმოაჩნდა. მაშ, გამოვიდა, რომ 16 გავუშვით და 7 მივიღეთ. ამრიგად, 20 ფეხბურთელით დავიწყეთ, შემდეგ კი კარბონე „შეფილდს" მივყიდეთ, სენო „ბოლონიას", გავიდა ორიოდ კვირა და ფესტა „მიდლსბროში" გადავიდა. უეცრად აღმოჩნდა, რომ სულ 17 მოთამაშე გვყავს, თანაც რამდენიმე მათგანი დაშავებული. ჰოდა, ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ცუდად არ გვითამაშია.

**— ძნელი იყო ამდენი უცხოელის შეთამაშება?**

— როცა მოთამაშეები ისეთ დიდ გუნდში მოდიან, როგორიც „ინტერია", თუნდაც იტალიის რომელიმე სხვა კლუბიდან, მათ დრო სჭირდებათ. მითუფრო სჭირდებათ უცხოელებს. მადლობა ღმერთს, სამორანო, ვინტერი და ანგლომა ჩვენთან ასევე დიდი კლუბებიდან მოვიდნენ. ჯორკაეფსაც საფრანგეთის დიდი კლუბები აქვს მოვლილი. თუმცა, ცხადია, ამდენი უცხოელით შოვინისტთა წნეხში ექცევი. აქაურები ხომ ამტკიცებენ, რომ „ინტერში" მხოლოდ იტალიელებმა უნდა ითამაშონ.

**— პრესის ზეწოლა პრობლემაა?**

— არ ვიცი. ერთადერთი, რისი თქმაც მსურს, ისაა, რომ ასე ხიფათს იქმნი. ქსენოფობია (უცხოელთა სიძულვილი) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სენია. ეს ფავორიტიზმს ჰგავს. არავინ არასდროს აღიარებს, რომ ქსენოფობია. ზუსტად ისევე, როგორც ფავორიტების ყოლას არ აღიარებენ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ბევრს ჰყავს თავისი კერპი და ასევე ბევრი უცხოელთა მოძულეა. ამგვარად, ჩვენს გეგმებს ხელი რომ არ შეუშლის, არ გამკვირვებია.

**— ამან თქვენ დაგამძიმათ? გაიძულებდნენ წარმატება სასწრაფოდ გვაჩუქეო?**

— თუ კაცს წარმატების მისაღწევად ხუთი წელიწადი სჭირდება, მაშინ „ინტერში", „მილანში" ან „იუვენტუსში" არ უნდა მიხვიდე. აქ პირველივე დღიდან გამარჯვებას ელიან. ამ გუნდებში საქმე გადარჩენაზეა: უნდა გადაურჩე თვეებს, კვირებს, უახლოეს დღეებს. მათ ამოუწურავი ფული აქვთ. „მილანმა" ტაბარესს არაბუნებრივად ბევრი შესთავაზა, შემდეგ კი ორთვენახევარში გააგდო. ცხადია, წნეხის ქვეშ ხარ, ცხრილის სათავეში რომ ხარ, მაშინაც.

**— როდესაც გამოცხადდა, რომ თქვენ მომავალი სეზონიდან „ბლექბერნში" იმუშავებთ, ბრძანეთ, რომ „ბლექბერნს" ნამდვილად სურხართ, რასაც ვერ იტყვით „ინტერზე". ახლაც იმავეს გრძნობთ?**

— დიახ. „ინტერმა" მაშინ მითხრა, გვჭირდებიო, როცა „ბლექბერნმა" პირველად მომაკითხა. ის კი არა, კინაღამ განვაახლე „ინტერთან" კონტრაქტი, მაგრამ ასი პროცენტით მაინც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ პრეზიდენტი თანახმა იყო ჩემს მიერ არჩეულ გზას გაჰყოლოდა. მოგეხსენებათ, ყველა მწვრთნელს თავისი მსოფლმხედველობა აქვს. აქ იმიტომ არ ვარ, რომ იტალიურ ფეხბურთში ვიმუშავო და ფული მოვიხვეჭო. ამას სხვაგანაც მოვახერხებ. მე კარიერის ის პერიოდი მიდგას, როცა საკუთარი ფილოსოფიის ხორცშესხმა სურთ. ჰოდა, იმ დროს, როცა „ბლექბერნს" პირველი უარი ვუთხარი, „ინტერს" კინაღამ ახალი კონტრაქტი დავუდე, „ბლექბერნმა" კი მეორედ მომაკითხა. მე ვიგრძენი, რომ მათ ნამდვილად ვუნდივარ, ხოლო „ინტერმა", მართალია კარგად და სწორად მელაპარაკებოდა, ჩემი საჭიროება ვერ მაგრძნობინა.

**— ქვეცნობიერად ყოველთვის იცოდით, რომ ინგლისში უნდა დაბრუნებულიყავით?**

— არა. ეს უბრალოდ ერთი კარგი სამუშაო ადგილის მეორესთან ბრძოლა იყო. ინგლისში მუშაობას ერთადერთი უპირატესობა ის აქვს, რომ ენა სრულყოფილად ვიცი, მეტი არაფერი.

**— თავს უფრო ევროპელად მიიჩნევთ თუ ინგლისელად?**

— ვგონებ, უფრო ევროპელად. არ დაგავიწყდეთ, ინგლისი 22 წლის წინ დავტოვე.

**— თქვენ „ბლექბერნში" უმდიდრეს ევროპულ გამოცდილებას მიიტანთ, მაგრამ აუღებენ სხვა მეთოდებს მიჩვეული ინგლისელი მოთამაშეები ალღოს მუშაობის თქვენეულ სტილს?**

— „ინტერში", სახელმძღვანელოდ ურთულეს კლუბში, ორი წელიწადი გავძელი, გადავიტანე 16 მოთამაშის გაშვება და ცხრა ახალ ადამიანთან მუშაობა, მაშ „ბლექბერნი" ჩემთვის რაღა სირთულე უნდა იყოს?! იმედი მაქვს, 22 წლიანი გამოცდილება დიდად წამადგება და ვგრძნობ, რომ ჯეკ უოქერსაც სწორედ ეს უნდა. მეორე მხრივ, მე არ ვაპირებ განვაცხადო, ევროპელი ვარ და ამიტომ ასე და ისე ვიზამო. უბრალოდ მუშაობა მსურს.



ორივე სამშობლოში ბრუნდება: ჰოჯსონი და პოლ ინსი

**— „ბლექბერნს" კენი დალგლიშმა ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა და მიატოვა. გუნდმა წარმატებას უმოკლეს დროში მიაღწია, მაგრამ ევროშეჯიბრებებში გამძღოლი კაცი აღარ ჰყავდა. მზად ხართ ამ გუნდში მისასვლელად?**

— დიახ. ჩვენ ამაზე ვილაპარაკეთ. კენიზე საუბარი არ მსურს. არ ვეთანხმები, თითქოს მან გუნდი მიატოვა. „ბლექბერნმა" ძალიან მალე მიაღწია პირველობას. არადა, კარგა ხანს, 60-იანების შემდეგ, უძლიერესი გუნდობისგან მეტისმეტად შორს იყო. ჩემი ამოცანა პრემიერლიგის მწვერვალთან სტაბილურად მოტრიალე გუნდის შექმნა იქნება. სულაც არაა აუცილებელი ყოველ სეზონში ჩემპიონები გავხდეთ. ეს თვით „მანჩესტერ იუნაიტედს" და „ლივერპულსაც" კი არ შეუძლიათ. მთავარია, არ ვიყოთ ისეთი გუნდი, ჩემპიონობის შემდეგ წელიწადს ლიგაში დასარჩენად რომ იბრძვის. ისე კი, გულწრფელად რომ გითხრათ, კლუბის ხელმძღვანელებთან ჯერ არ მქონია ფილოსოფიური საუბარი იმაზე, თუ რა მიმართულება უნდა აირჩიოს „ბლექბერნმა".

**— გითხრათ ჯეკ უოქერმა, ფეხბურთელების შესაძენად რამდენის დახარჯვა შეუძლია?**

— არა. მითხრა, რომ რამდენსაც ვეტყვი, შეეცდება იმდენი იშოვნოს. მართალი გითხრათ, ფული არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ხატავენ, თუმცა მისი უგულებელყოფაც არ შეიძლება.

**— რა აზრის ბრძანდებით ინგლისურ ფეხბურთში უცხოელების მომრავლებაზე?**

— კარგია. მათი უმეტესობა კარგ როლს ასრულებს, თუმცა არიან გუნდები, რომლებიც უცხოელების გარეშეც ჩინებულად თამაშობენ, ისევე როგორც იტალიაში. მაგალითად „პიაჩენცას" ერთი უცხოელი ან დიდხელფასიანი მოთამაშეც კი არ ჰყავს, მაგრამ გავარდნას ყოველ სეზონში აღწევს თავს. მარტო პარმელი ენრიკო კიეზა, საკომისიო გადასახადებიანად, 20-25 მილიონი გირვანქა ღირს, რაც „პიაჩენცას" ხუთი-ექვსი წლის ბიუჯეტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „პიაჩენცა" მაინც ლიგაშია.

**— და მაინც, როცა იცი, რომ კლუბი ფეხბურთელების საყიდელ ფულს გაიღებს, კარგია, არა?**

— ფული წარმატების გარანტია არაა. წარმატება ბრძნულად გაღებულ ფულს მოაქვს. ხომ იცით, რამდენი დახარჯა „ნიუკასლმა" ფეხბურთელებში და მაინც ვერ გახდა ჩემპიონი. აი, „მანჩესტერის" მოთამაშეთა ნახევარი არაფერი ღირს, მაგრამ მიღწევა მიღწევას მოსდევს. ვიცი, ჯეკს რომ ვუთხრა, ამა და ამ კაცის ყიდვა მინდა და 10 მილიონი მომეციო, მომცემს. იმის თქმა კი, მოდი 15 მილიონი დავხარჯოთ, სისულელეა, რადგან ოთხ თვეში შესაძლოა მივხვდე, რომ ვინც ვიყიდე, არ მომწონს.

**— და ტაქტიკა? იტალია ინგლისს ძალიან უსწრებს? იტალიაში ხომ განაპირა მცველები აღარავის ჰყავს.**

— საუკეთესო გუნდები 4-4-2, 4-3-3 ან 4-3-1-2-ს თამაშობენ. „მილანმა" 4-3-1-2-ით დაიწყო, ახლა კი 4-4-2-ზე გადავიდა, წინ რობი ბაჯო ჰყავს. „იუვენტუსი" ნამდვილ, კლასიკურ 4-4-2-ს თამაშობს, ორი განაპირა კაცით, რომლებიც წინ და უკან დარბიან და ორი ცენტრალური ნახევარმცველით. „პარმაც" იგივეა, ჩვენ კი 4-3-1-2-ს ვამჯობინებთ.

**— და ასე დარჩება?**

— არა. იტალიელები ამის შეცვლას ცდილობენ. ახალ ერაში, რომელიც არიგო საკის ებრძვის, კატენაჩოზე დაბრუნება სურთ. დღეს იტალიის ნაკრები ხუთი მცველით თამაშობს. ერთადერთი, რაც შეცვალეს ისაა, რომ დაამატეს ერთი მცველი და 5-3-2-ზე გადავიდნენ. მე ვნახე, რომ ინგლისთან ამ გუნდმა კარში მხოლოდ სამჯერ დაარტყა, პოლონეთთან ოთხჯერ. სამაგიეროდ, გოლი არ გაუშვიათ. „უემბლიზე" ერთი გაიტანეს და მოიგეს კიდეც.

**— ინგლისში შეიცვლება რამე?**

— ვფიქრობ, არ შეიცვლება. საჭირო არ არის. „ლივერპული" სამი უკანა და ორი ნაპირა მცველით ამ სისტემის მშვენიერ ინტერპრეტაციას ახერხებს. კონტინენტზე ასეთი სისტემა ინგლისსავით დახვეწილი არაა. ტაქტიკა, სადაც ძოლას ამპლუის ფეხბურთელი გყავს, სულაც ინგლისურია. პირველად ასეთი რამ „იფსვიჩში" ვნახე 70-იანებში, როცა ერიკ გეიტსი პოლ მარინერის უკან თამაშობდა. გეიტსი ამას ბაჯოს დაბადებამდე აკეთებდა. ისე კი, პრემიერლიგაც იგივეა, რაც სხვა ლიგები. განსხვავებული მხოლოდ ბუნდესლიგაა. რომ აიღოთ ორ-ორი ინგლისური, იტალიური, ესპანური და ფრანგული გუნდი, ოღონდ არ იცოდეთ, ვინ რომელი ქვეყნიდანაა და არ გესმოდეთ, რა ენაზე ლაპარაკობენ, შეჯიბრება კი ვენესუელაში ჩაატაროთ, ბოლომდე ვერ მიხვდებით, ვინ ვინ იყო. ერთადერთი, გერმანელებს გამოარჩევ კაცი. მათ ლიბერო ჰყავთ და პერსონალურ მეურვეობას მიმართავენ.

**— „ბლექბერნში" ვარჯიშის უფრო ევროპულ სტილს დანერგავთ?**

— მე აქ მივხვდი, რომ ჩვენ ძირითადად დიეტას ვაკონტროლებთ, ფეხბურთელები მეტი მეთვალყურეობის ქვეშ გვყავს და მეტი არაფერი.

**— მაგრამ აქ, სასადილოში, ღვინის ბოთლები შევნიშნე. ინგლისურ კლუბში ეს გამორიცხულია.**

— მითია, თითქოს იტალიელი ფეხბურთელები სადილზე თითო ჭიქა ღვინოს სვამდნენ. ისინი ინგლისელებზე მეტს ეწევიან და ბისკვიტებს ჭამენ. თავიდან ამან გამაოცა. შვედეთსა და შვეიცარიაში ბისკვიტის მჭამელ ფეხბურთელს ვერ ნახავ. „ბლექბერნში" შევეცდები მოთამაშეებს სწორი დიეტა ვურჩიო, მაგრამ არც ამის მნიშვნელობა უნდა გავაზვიადოთ. ვარჯიშები კი იგივე მექნება, „მალმიოში", „ქსამაქსსა" და შვეიცარიის ნაკრებში რომ მქონდა.

**— რა ვარჯიშებია?**

— მარტივი: ტექნიკის, ტაქტიკის და ფიზიკური მომზადების. მესამეს საგანგებო მწვრთნელი მიხედავს. ის გვირჩევს, როდის რა ვაკეთოთ. ტაქტიკაში შეტევა და თავდაცვაა დასამუშავებელი, ტექნიკაზე კი მას მერე შეიძლება გადასვლა, რაც ფეხბურთელები ნახევარსაათიან პასებს მორჩებიან. მოკლედ, ჯადოსნური ფორმულა არ არსებობს, ეს გაზეთების მოგონილია. თუ გუნდი ხუთ თამაშს მოიგებს, ხელად იწყებენ წერას, მის მწვრთნელს ჯადოსნური ფორმულა აქვსო. მე ეს მითი მომწონს და მის მოსპობას არ შევეცდები.

**— თქვენ ისე გამოგყავთ, თითქოს სინამდვილეში საქმე არ გქონდეთ.**

— მე ვექილივით ვარ. ვიცი, რომ კარგი პროფესიონალი ვარ და მასავით ვარ საჭირო. მე რომ ვექილი დამჭირდეს, გამოცდილს ავირჩევ, თუნდაც მეტის გადახდა მომიხდეს, რადგან ის ზუსტად მეტყვის, რა გავაკეთო წარმატების მისაღწევად.

**— თქვენ, საკის და ერიქსონს დიდი ფეხბურთი არასდროს გითამაშიათ. ამის გამო ნათამაშევ მწვრთნელებზე მეტს ხომ არ ფიქრობთ?**

— გულუბრყვილო რომანტიზმია, თითქოს დიდი ფეხბურთელობა ხანგრძლივ, კარგ მწვრთნელობას ნიშნავდეს. მაგალითად, ფაკეტი იტალიის ნაკრების მწვრთნელად რომ დაენიშნათ, ორი-სამი თვით კარგი იქნებოდა, მერე კი მოთამაშეები ჰკითხავდნენ, „ახლა რაღა?"

**— ბეკენბაუერმა თქვა, ძნელია ისეთ მოთამაშეებთან მუშაობა, ჩემებრ ნიჭიერები რომ არ არიანო.**

— კი მაგრამ კაპელო, კრუიფი, რობსონი ხომ დიდი ფეხბურთელები იყვნენ და საუცხოო მწვრთნელებიც არიან. ეტყობა, ისინი საამისოდ იყვნენ გაჩენილნი, ბეკენბაუერი და ბობი ჩარლტონი კი არა.

**— მაშ, მწვრთნელობა ძალიან ადვილია?**

— ის სამი ასპექტისგან შედგება. პირველია ფეხბურთის ცოდნა, რომელიც ყველას აქვს, ჩემი, საკის და ერიქსონის ჩათვლით. მეორეა ურთიერთობის უნარი და იმის ცოდნა, რომ შენ სხვა ადამიანებს წარმატებაში უნდა დაეხმარო, მესამე კი ლიდერობაა — მწვრთნელი გარკვეული ჯგუფის წინამძღოლია. ზუსტად უნდა იგრძნო გაკიცხვის და წახალისების მომენტი, ზუსტად უნდა შეარჩიო ვარჯიშის დრო და ხასიათი, ზუსტად უნდა იცოდე, როდის წაწიო შენი ცენტრფორვარდი კიდევ უფრო წინ. შესაძლოა გრძნობდე, რომ თამაშისთვის გუნდი მთლად სწორად ვერ მოამზადე, მაგრამ მაინც მოიგო, ხოლო შეიძლება სწორად მოამზადო, მაგრამ მოედანზე არაფერი გამოვიდეს. ხალხი პირველ შემთხვევაში შეგაქებს, მეორეში კი არა, მაგრამ შენ უნდა იცოდე, რა და როგორ მოხდა და ყველაფერი თავიდან გააანალიზო.

**— ინგლისში ბევრს კამათობენ ვიდეომსაჯის შესახებ.**

— არ მგონია ამან საქმე გამოასწოროს. ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება. თამაშს ყოველი ოფსაიდის გამო ხომ არ შეაჩერებ?!

**— მაგრამ თამაში სულ უფრო სწრაფი ხდება და მსაჯები ვეღარ ასწრებენ.**

— ვფიქრობ მსაჯები ძალიან ათლეტურნი, სწრაფნი და [illegible] იყვნენ. სამწუხაროდ, [illegible] და სუსტები [illegible], ჩვენ კი მათ ერთიანად [illegible]. საგანგებო ხალხი უნდა ვეძიოთ. შესაძლოა, თითო ტაიმი თითოს მივანდოთ. ზოგადად კი დონე ამაღლდა, თუმცა ორთაბრძოლები საგანგებო თემად რჩება. ტელევიზიით ვნახე ინგლისის ლიგის თასის ფინალი. ხშირად იყო შემთხვევა, როდესაც შემტევს ჯერ თავისი, შემდეგ კი დამზღვევი მცველი ებრძოდა. ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა და დამზღვევთან ბრძოლისას შემტევნი, როგორც წესი, ეცემოდნენ. მსაჯი არ უსტვენდა და მართალიც იყო. დამზღვევი იმიტომ არსებობს, რომ შემტევს ხელი შეუშალოს, თუ ის თავის მეურვეს გაექცა. აქ იტალიაში, ასეთ შემთხვევაში სულ ჯარიმებს ნიშნავენ. ყოველ თამაშში ოთხჯერ ან ხუთჯერ აჯარიმებენ იმ მოთამაშეს, ჯგუფიდან გამოღწევას და თაურის დარტყმას რომ ლამობს. სეზონში ასეთი 250 შემთხვევა გვიგროვდება. ნაღდ გოლს კი რამდენჯერ არ თვლიან? დიდი-დიდი, ერთხელ, მაგრამ ხალხი იმ 250-ის ნაცვლად ამ ერთის გამოსწორებას ითხოვს.

**— ევროპის ჩემპიონატზე ბევრი 0:0 ვნახეთ. ეს უფრო და უფრო ხშირდება.**

— ეს თქვენი, პრესის ბრალია. ჩვენ, მწვრთნელებს და ფეხბურთელებს მოგება გვინდა, თქვენ კი, თუ წავაგებთ, დამნაშავეებად გვრაცხავთ. ამიტომ ჩვენ უსაფრთხო ფეხბურთს ვირჩევთ. იცით, ეს რას ჰგავს? თუ მე პოლიციამ რატომღაც თვალთვალი დამიწყო, ცხადია, ღამე ქალაქში გასვლას მოვერიდები და სულ შინ ჩავჯდები.

**— როგორ გამოვცვალოთ მდგომარეობა?**

— 22 წელია ამას ვკამათობ. თუ მეტი თავისუფლება და სანახაობა გსურთ, ფეხბურთელებს ზურგზე ნუ შემოაჯდებით. თუ ფეხბურთელებს შეაშინებთ, ისინი თავისუფლად ვეღარ ითამაშებენ. ამაზე ყველაზე კარგად ვან ბასტენმა თქვა. ჰკითხეს, ამდენი ტრიუკი როგორ ისწავლეო, მან კი უპასუხა — იტალიაში რომ დავბადებულიყავი, ვერაფრით ვისწავლიდიო. არაფერი შეიცვლება, სანამ ვინმე არ იტყვის: „დღეს ჩვენ 2:3 წავაგეთ, მაგრამ საუცხოოდ ვითამაშეთ. გმადლობთ ამ ჩინებულ შეხვედრაში მონაწილეობისთვის. მწვრთნელო, კარგად გიმუშავია, მოდი ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი დავდოთ".

**— კეთილი, მაგრამ ამგვარი აღფრთოვანებით ნახეთ კევინ კიგანმა „ნიუკასლს" რა უქნა?**

— დიახ, მან ძალიან ბევრი ფეხბურთელი იყიდა.

**— სხვათაშორის, ისინი ძალიან ლამაზ, შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ.**

— ეს მომგებიანი ტაქტიკა იყო. კიგანმა გუნდი ლამის მესამე დივიზიონიდან ამოქაჩა. ერთადერთი გუნდი, რომლითაც მართლა აღფრთოვანებული ვიყავი, რონ გრინვუდის და შემდეგ ჯონ ლაიოლის „ვესტ ჰემი" იყო. ბავშვობაში მთელ ლონდონს ვკვეთდი „აპტონ პარკზე" მისი გულისთვის მისასვლელად. მათ ნაკრების ოთხი ფეხბურთელი აღზარდეს, მაგრამ 15 წლის მანძილზე მხოლოდ თასს იგებდნენ. ახლა ჩემპიონი თუ არ გახდი, არავის უნდიხარ.

**— ჩემპიონთა ლიგის ახალ სისტემაზე რას იტყვით? ის ხომ სპორტულ პრინციპს სცილდება.**

— ეს სისტემა გარანტიებს იძლევა. 1989-ში „ინტერი" სათამაშოდ ჩავიდა მალმიოში, გუნდთან, რომლის ბიუჯეტი მათეუსის ხელფასის მეათედი იყო. ახლა სხვაგვარად იქნება. 6 თამაში გარანტირებულია. მდიდარი უფრო გამდიდრდება, ღარიბი კი ვერასდროს ამაღლდება. „ინტერს", „იუვენტუსს" და „მანჩესტერ იუნაიტედს" მეთექვსმეტედფინალში გავარდნა აღარ უნდათ და მათ საამისოდ ბევრი გაიღეს. ეს უსამართლობაა.

**— „ინტერი" ლიგაში რომ მოხვდეს, დაინტერესდებით მისი ბედით?**

— არა. ვიცი, აქ რაც მოხდება, ვიცი ეს კლუბი. მე მისით აღარ დავინტერესდები.

**— იყო „ინტერი" თქვენი კარიერის უმაღლესი მწვერვალი?**

— მწვერვალი ბევრი მქონდა. შვედეთში პირველსავე სეზონში გუნდი ჩემპიონი გავხადე, შვეიცარია მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიყვანე და „ინტერშიც" ყოველგვარი აგენტის დახმარების გარეშე მიმიწვიეს. მიღწევა სწორედ ისაა, 22 წელიწადი აგენტი რომ არ მყოლია. ეტყობა, ჭაპანის მარტო გასაწევად ვარ დაბადებული.

**თარგმნა პაპუნა ძიძიამ**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXXIII ტური

24 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — დორტმუნდი | 3,6 | 3,1 | 1,7 |
| ბოხუმი — ზანქტ პაული | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| დუისბურგი — მიონხენგლადბახი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| ბაიერნი — შტუტგარტი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| არმინია — ჰანზა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| შალკე — ფრაიბურგი | 1,2 | 4,4 | 7,5 |
| კარლსრუე — მიუნხენი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ვერდერი — დიუსელდორფი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| კიოლნი — ლევერკუზენი | 5,6 | 4,0 | 1,3 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXXII ტური

24 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — კარლ ცაისი | 1,3 | 3,6 | 6,5 |

25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოლდენბურგი — ცვიკაუ | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| ფორტუნა — ლიუბეკი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ჰერტა — კიკერსი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ლაიპციგი — უნტერჰახინგი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| გიუტერსლოო — მეპენი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| როტ ვაისი — აინტრახტი | 2,8 | 3,0 | 2,0 |
| ურდინგენი — მაინცი | 2,4 | 2,5 | 2,5 |

26 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — მანჰაიმი | 1,3 | 3,6 | 6,5 |

შოტლანდიის თასის ფინალი

24 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კილმარნოკი — ფალკირკი | 1,8 | 3,0 | 3,3 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური

24 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — ნანტი | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| რენი — ბასტია | 3,6 | 3,1 | 1,7 |
| ოსერი — ნიცა | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| მეცი — ლილი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ლე ავრი — ბორდო | 3,6 | 3,1 | 1,7 |
| ლიონი — მარსელი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| პარი სენ ჟერმენი — სტრასბური | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ლანსი — კაენი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| კანი — ნანსი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მონპელიე — გინგამი | 1,6 | 2,8 | 5,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXXIII ტური

25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — იუვენტუსი | 3,0 | 2,6 | 2,1 |
| კალიარი — სამპდორია | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ფიორენტინა — რეჯანა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ინტერი — ნაპოლი | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| ლაციო — ვერონა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| პარმა — ბოლონია | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| პერუჯა — რომა | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| უდინეზე — პიაჩენცა | 1,5 | 3,3 | 4,4 |
| ვიჩენცა — მილანი | 2,4 | 2,6 | 2,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXVI ტური

25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — პადოვა | 1,2 | 4,4 | 7,5 |
| ბრეშია — ფოჯა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ჩეზენა — რავენა | 1,7 | 3,2 | 3,4 |
| კიევო — ვენეცია | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| კოზენცა — პალერმო | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| კრემონეზე — რეჯინა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ჯენოა — ემპოლი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| პესკარა — ლეჩე | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| სალერნიტანა — დი სანგრო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ტორინო — ლუკეზე | 1,3 | 3,4 | 7,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXIX ტური

25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ესტრემადურა | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| ბილბაო — რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ვალიადოლიდი — სელტა | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ბარსელონა — დეპორტივო | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| სპორტინგი — ერკულესი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ვალენსია — ბეტისი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| სევილია — რაიო | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ლოგრონიესი — ოვიედო | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| კომპოსტელა — ესპანიოლი | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| ტენერიფე — რასინგი | 1,6 | 3,4 | 3,6 |
| სარაგოსა — სოსიედადი | 2,1 | 2,8 | 2,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXVI ტური

25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო B — ვილიარეალი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ბადახოსი — სალამანკა | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| მალიორკა — ბარსელონა B | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ალავესი — ოსასუნა | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ლევანტე — ესიხა | 1,2 | 4,4 | 7,5 |
| ეიბარი — ლას პალმასი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ლერიდა — ორენსე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ტოლედო — ალბასეტე | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| ალმერია — მერიდა | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| ლეგანესი — რეალი B | 1,5 | 3,2 | 4,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXXII ტური

25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| გიმარაეში — ბელენენსეში | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| პორტუ — ბენფიკა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლეცა — ბრაგა | [illegible] | 2,8 | 2,2 |
| მარიტიმუ — ჟილ ვისენტე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| რიუ ავე — სეტუბალი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ფარენსე — ლეირია | 1,6 | 3,4 | 3,6 |
| ესპინიუ — შავეში | 1,7 | 3,2 | 3,4 |
| სპორტინგი — ამადორა | 1,4 | 3,6 | 5,0 |
| ბოავიშტა — სალგეირუში | 2,3 | 3,0 | 2,3 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XI ტური

24 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — როსტსელმაში | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| ალანია — ტიუმენი | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| როტორი — დინამო | 2,0 | 2,6 | 3,2 |
| ცსკა — ზენიტი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ტორპედო — ლოკომოტივი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ჩერნომორეცი — ბალტიკა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| კამაზი — კრილია | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ჟემჩუჟინა — ფაკელი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| შინიკი — ნოვგოროდი | 1,8 | 2,8 | 3,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXIII ტური

25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — აიაქსი | 4,7 | 3,8 | 1,4 |
| ტვენტე — ბრედა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| გრააფსხაპი — როდა | 2,8 | 3,0 | 2,0 |
| ვიტესი — ნაიმეგენი | 1,25 | 4,2 | 6,5 |
| ვალვაიკი — ალკმაარი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| გრონინგენი — სპარტა | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ვოლენდამი — უტრეხტი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ფეიენოორდი — ჰერენვენი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| ეინდჰოვენი — ტილბურგი | 1,15 | 4,7 | 9,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXXIV ტური

25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აალსტი — მუსკრონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| შარლერუა — სერკლ ბრიუგე | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| ბრიუგე — გენტი | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| ეკერენი — ანტვერპენი | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| გენკი — სენტ ტრიუდენი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლოკერენი — ლომელი | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| მეხელენი — ანდერლეხტი | 3,8 | 3,3 | 1,6 |
| მოლენბეკი — ჰარელბეკი | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| სტანდარდი — ლიერსი | 3,6 | 4,0 | 1,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. ფინალური ეტაპის XII ტური

24 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიონი — ბაზელი | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| არაუ — სენტ გალენი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ქსამაქსი — გრასჰოპერი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ციურიხი — ლოზანა | 4,4 | 3,3 | 1,5 |

### ინგლისის პირველი დივიზიონის ფლეი-ოფის ფინალური მატჩი

26 მაისი, უემბლიზე

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფილდ იუნაიტედი — კრისტალ პალასი | 2,4 | 2,8 | 2,3 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| გერმანია | 26 და ნაკლები—1,9 | 28 და მეტი—1,9 |
| საფრანგეთი | 23 და ნაკლები—1,9 | 25 და მეტი—1,9 |
| იტალია | 23 და ნაკლები—1,9 | 25 და მეტი—1,9 |
| ესპანეთი | 29 და ნაკლები—1,9 | 31 და მეტი—1,9 |

## CROCO-2

### ტირაჟი №36

1. ატალანტა — იუვენტუსი
2. კალიარი — სამპდორია
3. პარმა — ბოლონია
4. პერუჯა — რომა
5. უდინეზე — პიაჩენცა
6. ვიჩენცა — მილანი
7. ბილბაო — რეალი
8. ვალენსია — ბეტისი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი

# მსოფლიოს ჩემპიონებმა წააგეს

იაპონიის ქალაქ კუმამოტოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე იყო მოულოდნელი შედეგები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ექვსგუნდიანი ჯგუფებიდან მომდევნო ეტაპზე ოთხ-ოთხ გადის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფავორიტები ჯერ თავს არ გამოიდებენ. ამის მიუხედავად, მაინც მოულოდნელია მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგთა მარცხი კორეელებთან. მართალია, კორეაში ხელბურთის ბუმია (განსაკუთრებით ქალებში), მაგრამ მათი გამარჯვება ფრანგებთან მაინც სიურპრიზი იყო. ქულა დაკარგა კიდევ ერთმა ფავორიტმა — ესპანეთის ნაკრებმა, თუმცა ესპანელთა ფრე ეგვიპტელებთან დიდი მოულოდნელობა არაა, რადგან ეგვიპტელები კარგა ხანია დამკვიდრდნენ მსოფლიოს ძლიერ ნაკრებებს შორის. კარგად დაიწყო რუსეთის ნაკრებმა, მაგრამ მას ჯერ სუსტი მეტოქეები ჰყავდა და ჯგუფის მთავარი მატჩი ოლიმპიურ ჩემპიონებთან ხორვატებთან წინა აქვს. რაც შეეხებათ იუგოსლავებს, რომლებიც კარგა ხნის შესვენების შემდეგ გამოდიან მსოფლიოს ჩემპიონატზე, მათ პირველ ტურებში პრობლემები არ შექმნიათ. B ჯგუფში მოასპარეზე შვედეთის ნაკრებმა ჩემპიონატი დამაჯერებლად დაიწყო. სპეციალისტთა აზრით, ეს ჯგუფი ყველაზე ძლიერია შემადგენლობით და ოთხეულის გამოსავლენად დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

A ჯგუფი

ისლანდია — იაპონია 24:20
საუდის არაბეთი — ლიტვა 18:27
იუგოსლავია — იაპონია 22:19
ალჟირი — ისლანდია 27:27
იუგოსლავია — ლიტვა 29:21
ალჟირი — საუდის არაბეთი 19:14
იაპონია — საუდის არაბეთი 23:20

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 9 | 51:40 | 4 |
| ალჟირი | 2 | 1 | 1 | 0 | 46:41 | 3 |
| ისლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 51:47 | 3 |
| ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 48:47 | 2 |
| იაპონია | 3 | 1 | 0 | 2 | 62:66 | -2 |
| საუდეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 52:69 | 0 |

22 მაისი
ლიტვა — ალჟირი
ისლანდია — იუგოსლავია
24 მაისი
საუდის არაბეთი — იუგოსლავია
ალჟირი — იაპონია
ლიტვა — ისლანდია
25 მაისი
საუდეთი — ისლანდია
იაპონია — ლიტვა
იუგოსლავია — ალჟირი

B ჯგუფი

საფრანგეთი — იტალია 25:21
ნორვეგია — კორეა 21:21
შვედეთი — არგენტინა 36:17
შვედეთი — ნორვეგია 24:17
საფრანგეთი — კორეა 26:27
იტალია — ნორვეგია 19:19
არგენტინა — საფრანგეთი 20:24

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 60:34 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 75:68 | 4 |
| კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 48:47 | 3 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 57:64 | 2 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 1 | 40:44 | 1 |
| არგენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 37:60 | 0 |

22 მაისი
არგენტინა — იტალია
კორეა — შვედეთი
24 მაისი
კორეა — არგენტინა
ნორვეგია — საფრანგეთი
შვედეთი — იტალია
25 მაისი
იტალია — კორეა
ნორვეგია — არგენტინა
საფრანგეთი — შვედეთი

C ჯგუფი

პორტუგალია — ბრაზილია 26:18
ჩეხეთი — ეგვიპტე 22:24
ესპანეთი — ტუნისი 32:21
ბრაზილია — ჩეხეთი 10:24
ეგვიპტე — ესპანეთი 19:19
ტუნისი — პორტუგალია 19:18
ესპანეთი — ბრაზილია 32:11

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 83:51 | 5 |
| ეგვიპტე | 2 | 1 | 1 | 0 | 43:41 | 3 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 46:34 | 2 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 44:37 | 2 |
| ტუნისი | 2 | 1 | 0 | 1 | 40:50 | 1 |
| ბრაზილია | 3 | 0 | 0 | 3 | 39:72 | 0 |

22 მაისი
ეგვიპტე — ტუნისი
ჩეხეთი — პორტუგალია
24 მაისი
ბრაზილია — ეგვიპტე
ჩეხეთი — ტუნისი
პორტუგალია — ესპანეთი
25 მაისი
ტუნისი — ბრაზილია
პორტუგალია — ეგვიპტე
ესპანეთი — ჩეხეთი

D ჯგუფი

რუსეთი — კუბა 31:17
ხორვატია — ჩინეთი 34:21
უნგრეთი — მაროკო 25:19
ჩინეთი — რუსეთი 15:34
მაროკო — ხორვატია 17:26
რუსეთი — მაროკო 30:13
კუბა — უნგრეთი 21:22

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 95:45 | 6 |
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 60:38 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 47:40 | 4 |
| კუბა | 2 | 0 | 0 | 2 | 38:53 | 0 |
| მაროკო | 3 | 0 | 0 | 3 | 49:81 | 0 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 36:68 | 0 |

22 მაისი
ჩინეთი — კუბა
ხორვატია — უნგრეთი
24 მაისი
მაროკო — ჩინეთი
ხორვატია — კუბა
უნგრეთი — რუსეთი
25 მაისი
კუბა — მოროკო
უნგრეთი — ჩინეთი
რუსეთი — ხორვატია

თითო ჯგუფიდან ოთხი გუნდი გადის მერვედფინალში, სადაც ასე წყვილდებიან:

27 მაისი

1) A1-B4, 2) C1-D4, 3) B3-A2, 4) D3-C2, 5) A3-B2, 6) C3-D2, 7) B1-A4, 8) D1-C4.

მეოთხედფინალი
29 მაისი

9) 1-6, 10) 2-5, 11) 3-8, 12) 4-7.

ნახევარფინალი
31 მაისი

9-10, 12-11

ფინალი გაიმართება 1 ივნისს

გარდა ამისა, გათამაშდება მე-5-8 ადგილები. მეოთხედფინალში დამარცხებულები 30 მაისს შეხვდებიან ერთმანეთს.

13) 10-9

14) 11-12

31-ში ამ თამაშებში გამარჯვებულები მე-5 ადგილისთვის იბრძოლებენ, დამარცხებულები — მე-7-სთვის.

## კალათბურთი

# «კოკამ» გაგვიფერადა

როგორც ამ ბოლო დროს შევნიშნე, NBA-ს კალათბურთელები „SPRITE"-ზე დაწუწკებულან. ალბათ, ყველას გინახავთ ტელევიზიით, თუ როგორ ტენის ბურთს კალათში ვინმე შავკანიანი ვარსკვლავი, შემდეგ კი სიამოვნებით ეწაფება მწვანე ქილის შიგთავს სითხეს, თან ისე განცხრომით მიირთმევს, თითქოს მისი გაბრწყინება სწორედაც რომ „კოკა-კოლას" ამ ნაწარმით იყოს განპირობებული. ჩვენც გვჯერა სასწაულმოქმედი „მაცოცხლებელი სითხის". რეკლამის დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა...

„კოკა-კოლა" მხოლოდ ამერიკელ კალათბურთელებსა და მათ შედეგიანობაზე როდი ზრუნავს. კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობამ ერთობ საშური საქმე წამოიწყო — ვერის პარკში მდებარე საკალათბურთო დარბაზის გალამაზება-კეთილმოწყობას მოჰკიდა ხელი.

მოედნის სამწამიანი ზონა და გარე ნაწილი ლურჯად შეღებეს, თავად მოედანი — ყვითლად. საჯარიმოს წრეს კი „SPRITE"-ის საფირმო ნიშანი ამშვენებს. არც მოასპარეზეთა გამამხნევებელი ლოზუნგი დავიწყებიათ. ფარს უკან შოთა რუსთაველის აფორიზმია ამოტვიფრული, რომელიც მობურთალთაგან მარჯვედ, შედეგიანად ასპარეზობას მოითხოვს. სარეკლამო დროშები და ფარის დამცავი საფარიც „SPRITE"-ს ეკუთვნის. მოკლედ, დარბაზში ზამთარშიაც გაზაფხული გეგონება. მით უმეტეს, რომ, როგორც საწვრთნელი ბაზის გამგემ ბიჭიკო ცხვედიანმა მითხრა, „კოკა-კოლა" დარბაზში გათბობას, საშხაპეებში კი ცხელი წყლის გამოშვებას დაპირდათ.

ნამდვილად სასიხარულო და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ისეთი ძლიერი და მდიდარი კომპანია, როგორიც „კოკა-კოლაა", ერის დღევანდელი და მომავალი თაობის ჯანსაღ აღზრდაზე ფიქრობს და რეალურ საქმესაც აკეთებს.

ერეკლე ქიქილაშვილი

## ძიუდო

# ზეგ „შევარდენი" იწყებს

24 მაისს 15 საათზე სპორტის სასახლეში ევროპის საკლუბო თასის გათამაშების პირველი წრის შეხვედრა დაიწყება. თბილისის „შევარდენი" მასპინძლობს ხორვატიის ქალაქ დუბროვნიკის „დუბროვაჩკა ბანკას". შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებაში ქართული კლუბი პირველად მონაწილეობს. შევარდენელებმა წინა კვირაში დაიწყეს მზადება ამ მატჩისთვის. ახალგაზრდა მწვრთნელის გურამ მოდებაძის (არ აგერიოთ მორაგბეთა მწვრთნელ „ბურძგლაში") ხელმძღვანელობით გუნდი ვაკეში, ძიუდოს დარბაზის სასტუმროში გადის შეკრებას. „შევარდენის" პრეზიდენტმა ბერდია გუგავამ გუშინ გვაცნობა მათი ვინაობა, ვინც შაბათს გამოვა საჭიდაოდ: ნესტორ ხერგიანი (60 კგ), გიორგი ვაზაგაშვილი (65 კგ), კობა თადიაშვილი (71 კგ), დავით ნადარაია (78 კგ), სოსო ლიპარტელიანი (86 კგ), გია გუგავა (95 კგ) და რამაზ ჩოჩიშვილი (მძიმე წონა).

ხორვატებმა წინა კვირას გვაცნობეს თავიანთი ჩამოსვლის დეტალების შესახებ. ისინი წუხელ უნდა ჩამოფრენილიყვნენ პრაღის რეისით. დელეგაციაში 12 კაცი ჰყავთ: 9 ძიუდოისტი, კლუბის პრეზიდენტი, მწვრთნელი და ჟურნალისტი. სამწუხაროდ, ხორვატებმა ჩამომსვლელთა ვინაობა არ გვაცნობეს და დღეს ამიტომ ვერ გთავაზობთ მათი გუნდის შემადგენლობას. შეგახსენებთ, რომ „დუბროვაჩკა ბანკას" ღირსებას იცავენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ბელარუსი ნათიქ ბაგიროვი, ევროპის ჩემპიონი, ესტონელი ინდრეკ პერტელსონი, ოლიმპიადის მეორე პრიზიორი უზბეკეთიდან არმენ ბაღდასაროვი, მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში, რუსი ტამერლან ტმენოვი და კიდევ რამდენიმე ნაკლებადტიტულოვანი ლეგიონერი. თუმცა, ევროპის ძიუდოს კავშირის დებულებით, კლუბს ერთ შეხვედრაში ორ უცხოელზე მეტის გამოყვანის უფლება არა აქვს. საწუხაროდ, დღეს ვერც იმას შეგატყობინებთ, თუ ვისზე გააკეთეს აქცენტი ხორვატებმა.

ექს-იუგოსლაველთა დელეგაცია სპორტსაზოგადოება „შევარდენის" სასტუმროში დაბინავდება. იქვე იცხოვრებენ მსაჯებიც. ევროპის ძიუდოს კავშირმა ქართველებისა და ხორვატების დავის განმსჯელად რუსები მოავლინა: ვასილი სმოლინი, ანატოლი ტროფიმოვი და იგორ ტიმოფეევი. სმოლინი, რომელმაც ოლიმპიადაზე იმსაჯა და უმაღლესი „ა" კატეგორიის მსაჯია, ამავდროულად მატჩის ოფიციალური დელეგატიც იქნება.

# კახელმა პოლიციელებმა ყველას აჯობეს

გუშინ და გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემპიონატი ძიუდოში. ამ უწყებამ წლეულს უკვე ჩაატარა ანალოგიური შეჯიბრებები ფეხბურთსა და კალათბურთში, მაგრამ ძიუდოისტთა პირველობამ ნამდვილად ყველას აჯობა. შესანიშნავად ორგანიზებულ შეჯიბრებაზე არაერთი მაღალი დონის შერკინება გაიმართა, ისეთი, მრავალი ქვეყნის „ნაღდ" ჩემპიონატსაც რომ დაამშვენებდა. ძირითადად ვეტერანებმა იჭიდავეს. მაგრამ მათ თურმე არც ოსტატობა დაუკარგავთ და არც სპორტული ფორმა. უფროსების მხარდამხარ ახალგაზრდებმა, დღეს მოქმედმა სპორტსმენებმაც იასპარეზეს, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა ჩემპიონატი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გიგლა ალიბეგაშვილი (შიდა ქართლის სამმართველო), ბაკურ თურქაძე (კახეთის სამმართველო), გიორგი რევაზიშვილი (კახეთის სამმართველო), ლევან ციგრიაშვილი (შინაგანი ჯარები), გიორგი წმინდაშვილი (კახეთის სამმართველო), ივანე არაბული (შსს აკადემია), ალექსი დავითაშვილი (კახეთის სამმართველო). გუნდურ პირველობაში ყველას კახელებმა აჯობეს, მეორენი იყვნენ შიდაქართლელები, მესამე ადგილზე კი გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის გუნდი გავიდა.

## კალათბურთი

NBA. ფლეი-ოფი

კონფერენციათა ფინალები

აღმოსავლეთი

ჩიკაგო — მაიამი 1:0

20 მაისი. ჩიკაგო — მაიამი 84:77

დანარჩენი მატჩები გაიმართება 22, 24, 26 და, თუ საჭირო იქნა, 28, 30 მაისს და 1 ივნისს.

დასავლეთი

იუტა — ჰიუსტონი 1:0

19 მაისი. იუტა — ჰიუსტონი 101:86

დანარჩენი მატჩები გაიმართება 21, 23, 25 და, თუ საჭირო იქნა, 27, 29 მაისს და 1 ივნისს.




ჩიკაგო — მაიამი:
სტუმარი მაიამი მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყო. პირველ მეოთხედში 16 ქულას იგებდა, ტაიმს — 12 ქულით, ბოლო მეოთხედს — 5 ქულით. შემდეგ კი შეცდომებიც დაუშვა და ვერც მაიკლ ჯორდანი (23) შეაჩერა

## ჰოკეი

# ლემიე გააჩერეს, ლინდროსი ვერა

NHL. სტენლის თასი

დეტროიტი 2:1 კოლორადო

**დეტროიტი — კოლორადო 2:1. შაიბები: კოზლოვი (1:0), საკიკი (1:1), კოზლოვი (2:1)**

მხოლოდ სერიის მესამე შეხვედრაში გამოაჩინა ბრჭყალები თასის მფლობელმა კოლორადომ და, როგორც იქნა, კლასით აჯობა მეტოქეს, მაგრამ „ევულანშის" მცდელობა გამოცდილმა დეტროიტელმა ვერნონმა (27 მოგერიება) მცდელობადვე დატოვა და წლეულს თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. დარტყმების თანაბარი რაოდენობა (28-28) სულაც არ მეტყველებს იმაზე რომ თამაშიც ასეთივე იყო — სტუმართა შეტევები უფრო მწვავე იყო. „წითელფრთიანებს" განსაკუთრების ბოლო პერიოდში გაუჭირდათ, მაგრამ მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება შეძლეს. მანამდე კი ბოლო მატჩებში ძალზე გააქტიურებულმა კოზლოვმა ორი შაიბა შეაგდო. უნდა ითქვას, რომ რუსს ერთობ მოუხდა ოდესღაც მუდმივი პარტნიორის — ფიოდოროვის (2 პასი) შემხანაგება. კოზლოვის ორი შაიბის შუალედში კი კოლორადომ ერთხელ გამოიყენა რიცხვმრავლობა, თუმცა დეტროიტთან კლუბი ჯერჯერობით ვერ ახერხებს იმის დამტკიცებას, რომ ამ კომპონენტში საუკეთესოა ლიგაში (12 ცდიდან მხოლოდ 2-ჯერ შეაგდო). საინტერესოა, რომ დეტროიტმა წლევანდელი თასის გათამაშებაში პირველად შეძლო პირველი პერიოდის თავის სასარგებლოდ დასრულება. ისიც უჩვეულო იყო, რომ კოლორადოს ლიდერმა კლოდ ლემიემ ზედიზედ 9 შედეგიანი მატჩის შემდეგ უქულოდ დატოვა ყინული.

რეინჯერზი 1:2 ფილადელფია

**რეინჯერზი — ფილადელფია 3:6. შაიბები: ლინდროსი (0:1), სვობოდა (0:2), კურტნოლი (1:2), კურტნოლი (2:2), ლინდროსი (2:3), გრეცკი (3:3), კლეტი (3:4), ბრინდამორი (3:5), ლინდროსი (3:6).**

ფილადელფიელმა ლინდროსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლემიესა და გრეცკის ტოლს არ უდებს. მეორე მატჩში უეინის ჰეთ-თრიქს „მფრინავთა" კაპიტანმა მომდევნო შეხვედრაში სამი შაიბით უპასუხა. ეს თამაში არაფრით განსხვავდებოდა ამ გუნდების პირველი შეხვედრისაგან: ფილადელფიამ თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზა მეტოქეს




და თავიდან ორი სწრაფი შაიბაც გაახერხა (ორივე ლინდროსის სამეულმა მოაწყო), მაგრამ ბოლო პერიოდმა მოვლენების უსწრაფესი ცვლით პირველ ორს ბევრად გადააჭარბა.

კურტნოლის ორ შაიბას გუნდების ლიდერთა მიერ გოლების გაცვლა მოჰყვა — გრეცკიმ უკვე მე-10 შაიბა მიითვალა. აქ ნიუორკელებმა, მათი მწვრთნელის კემპბელის თქმით, გადამწყვეტი შეცდომა დაუშვეს — იმის ნაცვლად, რომ დაცვაზე ეზრუნათ, წინ, მეტოქის კარს მიაშურეს. ამას მათთვის სავალალო შედეგი — კიდევ სამი გოლი მოჰყვა, თანაც უკანასკნელი ლინდროსმა ცარიელ კარში შეაგდო. უნდა ითქვას, რომ ამჯერად „მფრინავთა" კარში ჰექსტოლი ჩადგა და საიმედოდაც გაისარჯა (25 მოგერიება), „რეინჯერთა" გმირმა წინა სერიებში — მეკარე რიხტერმა კი თავისიანებს ველარაფრით უშველა. მომდევნო მატჩში ნიუიორკელებს, ალბათ, ძალზე გაუჭირდებათ, რადგან მანამდე ტრავმირებულ სუნდსტრიომსა და ფლეტლის კიდევ ერთი დაშავებული ფორვარდი — გერნანდერი დაემატათ, მცველი კარპოვცევი კი ოჯახური პირობების გამო რუსეთს დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ მანამდე რეინჯერზმა ყველა საშინაო მატჩი მოიგო.

ბომბარდირები: საკიკი 22 (6+16), ლემიე (ორივე კოლორადო) 21 (11+10), ლინდროსი (ფილადელფია) 20 (9+11), კამენსკი (კოლორადო) 18 (8+10), გრეცკი (რეინჯერზი) 17 (10+7), ფორსბერგი 17 (5+12), ოზოლინში (ორივე კოლორადო) 16 (4+12), ლეკლერი 15 (6+9), ბრინდამორი (ორივე ფილადელფია) 19 (8+6), კარია*(ანაჰაიმი) 13 (7+6)

ახალბედები: ზუბრუსი 9 (5+4), ნიინიმა (ორივე ფილადელფია) 9 (1+8), ელიაში (ნიუ ჯერზი) 5 (2+3), გრირი (ედმონტონი) 4 (3+1).

სამველ ლარიბიანი




დეტროიტელი კოზლოვი (შუაში) თავის მეორე შაიბას ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაგბი

## ზე-12-ის სერიალი

# ალდგომა და ხვალეო

შაბათს ზე-12-ის ნახევარფინალებია: დღისით ოქლენდის „ლურჯები“ „იდენ პარკზე“ უმასპინძლებენ ნატალის „ზვიგენებს“, საღამოს კი კანბერის „ველური რაშები“ შინ, „ბრუს სთეიდიუმზე“ ეთამაშებიან ველინგთონის „გრიგალებს“.

ფავორიტები ოქლენდი და კანბერა არიან. მარტო იმიტომ კი არა, რომ შინ თამაშობენ, სადაც ზე-12-ებში ჯერ არ წაუგიათ; არამედ იმის გამოც, რომ სამხრეთი ნახევარსფეროს ქვეყნების პროვინციათაგან სწორედ ეს ორი გუნდი თამაშობს ყველაზე ბარაქიან — სწრაფ, ძალისმიერსა და სანახაობრივად მიმზიდველ რაგბს.

თამაშობს და კიდეც იმარჯვებს. ყველაფერი ეს შესანიშნავადაა ჩანს ქვემოთმოყვანილი ნაირ-ნაირი ცხრილიდან. თავგამოჩენილ მოთამაშეთა სიაშიც ბლომად არიან ამ ორი გუნდის მორაგბეები. და კიდევ ველინგთონელები. ერთი სიტყვით, სერიალის პლეი-ოფში გასული ოთხეულიდან სამი ნაღდად ამის ღირსია.

ახლა, მოდით, სტატისტიკას ჩავუღრმავდეთ. სეზონი გადასარევად დაიწყო — ლელოები პანტა-პუნტით გადიოდა და სარეკორდო ჯამური ანგარიშებიც აღინუსხებოდა ხოლმე. მერე მოხდა ის, რასაც უცხოეთის მედია ვარაუდობდა: რაგბი ყველა ბურთაობათაგან ალბათ ყველაზე დამღლელია და ზედიზედ ამდენმა თამაშმა, თუმც კი ერთკვირიანი შუალედით, ზე-12-ელები გამოფიტა.

გახშირდა ერთნიშნა მონაგრითა და ლელოს გაუტანლად წაგება, ერთხელ კი „ვაით-ვოშიც“ (ნულზე დამარცხება) აღინუსხა. სწორედ ამის გამო წუხან სერიალის მონაწილე ქვეყნებში, თუ ასე გაგრძელდა, თაობათა სრული ცვლა ყოველ ხუთ-ექვს წელში მოგვიხდება.

სტუმრად თამაშიც, მოწინავე სამეულის გარდა, ყველას გაუჭირდა. ეს იმის ბრალიც იყო, რომ თამაშებს მასპინძელი მსაჯები უძღვებოდნენ. ამის მიზანშეუწონლობაზე სერიალის დაწესების დღიდან საუბრობენ, მაგრამ ნეიტრალური მსაჯების დანიშვნას აქამდე რომ ვერ დაედგა თავი, ამას სათითაოდ ყველა ქვეყანა დანარჩენ ორს აბრალებს, აქაო და ზედმეტ ხარჯს უფრთხიანო. არადა, ვისაც რა უნდა, ის იძახოს, მიკერძოებულმა მსაჯობამ და არსებით წესთა სხვადასხვაგვარმა გააზრებამ ბევრი თამაშის შედეგი გააყალბა.

კალენდარი, მეტადრე კი სტუმარ-მასპინძლობის ორწლიანი როტაცია, ცალკე საუბრის თემაა. ასეა ხუთი ერის პირველობაზე და იმ წყეულ შეჯიბრშიც, საქართველო რომ მონაწილეობს. თუმც რაგბი გაპროფესიულდა, დაბრძენებამდე ჯერაც ბევრი უკლია: წრიულ ტურნირებს მაინც ერთ წრედა მართავს. ამის გამო ზოგს გადასარევი განრიგი გამოუდის, ზოგსაც — საშინელი.

წელს ოქლენდს ყველაფერი აეწყო — ყველა უშუალო კონკურენტს შინ ეთამაშა, რისი წყალობითაც საერთოდ არ წაუგია და მდევრებიც საკმაოდ ჩამოიტოვა. გარდა ამისა, ისიც სათქმელია, რომ ზელანდიის გუნდები ალალი პროვინციები კი არ არიან, არამედ უფრო მსხვილი რეგიონების ნაკრებებს წარმოადგენენ. ამის გამო მეტოქეებს სულ სხვადასხვა ქალაქებში მასპინძლობენ ხოლმე. ჰოდა, რამდენჯერმე ისე გამოვიდა, რომ ოქლენდმა თუმც სტუმრად ითამაშა, იქაური ვითომ-მასპინძელი მასავით სტუმარი იყო.

ალდგომა და ხვალეო! ნახევარფინალებამდე ორი დღეა. ფინალი იქეთა შაბათს, 31 მაისს გაიმართება. თუ მასში ოქლენდი გავა, ეს დიდი მატჩიც „იდენ პარკზე“ მოეწყობა. ერთი სიტყვით, თუ ავტოსპორტის ანალოგიას მოვიშველიებთ, „ლურჯებს“ სტარტზევე პოული ექირათ, ტრასა კი ისე მოკლე და ვიწრო იყო, რომ ფინიშამდე მათი გასწრება ვერავინ მოახერხა.


როფი

### მელელოვეები:

13 ჯო როფი (კანბ)
12 ტანა უმაგა (ველ)
9 ქრისთიან ქალენი (ველ)
8 ჯოელი ვიდირი (ოქლ) და მიჩ პარდი (კანბ)
7 სთივენ ლარქემი (კანბ) და ბრაიან ლიმა (ოქლ)
6 გევინ ლოლისი (ნატ), კარლოს სპენსერი (ოქლ), ჯეისონ ოპალორანი (ველ), ერიკ რაში (ვაიქ) და ჯორჯ გრეგანი (კანბ)


„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90


| დამრტყმელები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გევინ ლოლისი | ნატალი | 6 | 25 | 30 | - | 170 |
| მეთიუ ბერქი | ახ. სამხრ. უელსი | 4 | 20 | 30 | - | 150 |
| ჯონ პრესტონი | ველინგთონი | 2 | 26 | 27 | - | 143 |
| დევიდ ნოქსი | კანბერა | 1 | 29 | 21 | 1 | 129 |
| ჯონ ილზი | ქვინზლენდი | 1 | 23 | 24 | - | 123 |
| გევინ ჯონსონი | პაუტენპი | 4 | 17 | 20 | - | 114 |
| ადრიან ქეშმორი | ოქლენდი | 2 | 23 | 19 | - | 113 |
| მეთიუ კუპერი | ვაიქათო | 1 | 14 | 25 | - | 108 |
| ენდი მერთენსი | ქენთებრი | 1 | 10 | 21 | 2 | 94 |
| იანი დებეერი | ნარინჯი | - | 19 | 15 | 1 | 86 |

### მონაგარი

შინ: ოქლენდი 29 ქულა (6 თამაშში); კანბერა 25 (5); პაუტენპი 23 (6); ნატალი 21 (5); ველინგთონი 20 (6); ქენთებრი 19 (5); ჩრდ. ტრანსვაალი და ქვინზლენდი 16 (5); ახ. სამხრ. უელსი და ნარინჯი 15 (6); ოთაგო 10 (6); ვაიქათო 9 (5)

გარეთ: ოქლენდი 21 (5); კანბერა 16 (6); ველინგთონი 13 (5); ნარინჯი 10 (5); ვაიქათო 10 (6); ნატალი 9 (6); ოთაგო 7 (5); ქენთებრი 7 (6); ჩრდ. ტრანსვაალი 6 (6); პაუტენპი და ახ. სამხრ. უელსი 5 (5); ქვინზლენდი 4 (6)

ტურნეზე: ზღვისრეთში (4 თამაში): ნატალი 7; ნარინჯი 5; ჩრდ. ტრანსვაალი 2; პაუტენპი 1
აფრიკაში (2 თამაში): ოქლენდი 7; ველინგთონი და ქენთებრი 5; ოთაგო და კანბერა 2; ახ. სამხრ. უელსი და ვაიქათო 1; ქვინზლენდი 0


WORLDWIDE RUGBY
მსოფლიო რაგბი
ზე-12-ის XI კვირის (ოქლენდი — ველინგთონი და ა. შ.) ორ-საათიანი მიმოხილვა
22.V 13.30; 23.V 10.30; 24.V 2.30


| 1997 RUGBY SUPER-12 | | ოქლ | კანბ | ველ | ნატ | პაუტ | ქენთ | ნარ | ჩტ | ასუ | ქვინ | ვაიქ | ოთა | მ | ნ | ფ | + | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი | BLUES | NZ | 41:29 | 45:42 | 39:17 | 63:22 | 29:28 | 24-15 | 40-40 | 34-20 | 49:26 | 26-16 | 45-28 | 10 | – | 1 | 8 | 435:283 | 56-30 | 50 |
| კანბერა | BRUMBIES | 29-41 | AUS | 38-29 | 26-35 | 36-44 | 49:29 | 50:23 | 38:19 | 56: 9 | 24-19 | 48:34 | 15- 9 | 8 | 3 | – | 9 | 409:291 | 55-36 | 41 |
| ველინგთონი | HURRICANES | 42-45 | 29:38 | NZ | 24-29 | 37-35 | 17-19 | 59:30 | 64:32 | 19: 3 | 47-29 | 18:23 | 60:34 | 6 | 5 | – | 9 | 416:317 | 52-35 | 33 |
| ნატალი | SHARKS | 17-39 | 35:26 | 29:24 | RSA | 8-42 | 26-26 | 40-45 | 27:27 | 28:23 | 3-40 | 33-15 | 75:43 | 5 | 4 | 2 | 6 | 321:350 | 35-41 | 30 |
| პაუტენპი | LIONS | 22-63 | 44:36 | 35:37 | 42: 8 | RSA | 0-23 | 24-20 | 16:16 | 36:27 | 27-40 | 9-47 | 47:29 | 5 | 5 | 1 | 6 | 302:346 | 32-43 | 28 |
| ქენთებრი | CRUSADERS | 28-29 | 29-49 | 19:17 | 26:26 | 23: 0 | NZ | 16-11 | 22-23 | 8-25 | 48: 3 | 24:15 | 29-37 | 5 | 5 | 1 | 4 | 272:235 | 29-24 | 26 |
| ნარინჯი | CHEETAHS | 15:24 | 23-50 | 30-59 | 45:40 | 20:24 | 11:16 | RSA | 35-23 | 11-36 | 35:24 | 27:13 | 49-18 | 5 | 6 | – | 5 | 301:327 | 32-36 | 25 |
| ჩრდ. ტრანსვაალი | BLUE BULLS | 40:40 | 19-38 | 32-64 | 27-27 | 16-16 | 23:22 | 23:35 | RSA | 29-43 | 14: 3 | 34:27 | 7-27 | 3 | 5 | 3 | 4 | 264:342 | 33-40 | 22 |
| ახ. სამხრ. უელსი | WARATAHS | 20:34 | 9-56 | 3-19 | 23-28 | 27-36 | 25: 8 | 36:11 | 43:29 | AUS | 16:26 | 26:33 | 27-16 | 4 | 7 | – | 4 | 255:296 | 25-33 | 20 |
| ქვინზლენდი | REDS | 26-49 | 19:24 | 29:47 | 40: 3 | 40:27 | 3-48 | 24-35 | 3-14 | 26-16 | AUS | 16-31 | 37:24 | 4 | 7 | – | 4 | 263:318 | 29-37 | 20 |
| ვაიქათო | CHIEFS | 16:26 | 34-48 | 23-18 | 15:33 | 47: 9 | 15-24 | 13-27 | 27-34 | 33-26 | 31:16 | NZ | 18:34 | 4 | 7 | – | 3 | 272:295 | 28-31 | 19 |
| ოთაგო | HIGHLANDERS | 28:45 | 9:15 | 34-60 | 43-75 | 29-47 | 37:29 | 18:49 | 27: 7 | 16:27 | 24-37 | 34-18 | NZ | 3 | 8 | – | 5 | 299:409 | 31-51 | 17 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+“ გრაფა)

33:0 შინ; 0-15 გარეთ

NZ ახალი ზელანდია; AUS ავსტრალია; RSA სამხრეთი აფრიკა

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

დღეს, ხუთშაბათს, 22 მაისს

11.30 ავტორბოლა: კარტ (ყოფილი ინდიკარი). პი-პი-ჯის მსოფლიო სერიალი რიოდან (ბრაზილია); 13.00 მოტოციკლის ჟურნალი „თვლები“; 13.30 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ“; 14.00 ავტორბოლის ჟურნალი „ძრავები“; 14.30 ფეხბურთი: უეფა-ს თასის ფინალი. ინტერი — შალკე 04; 16.00 კარტ: პი-პი-ჯის სერიალი. მედისონიდან (ილინოისი, აშშ) (წარდგენა); 17.00 ველოკროსი: მსოფლიო თასი. ქეიფთაუნიდან; 17.30 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები; 18.00 ფეხბურთი: ინტერი — შალკე 04; 20.00 ჩოგბურთი: მსოფლიოს გუნდური თასი. დიუსელდორფიდან; 21.30 (პ) ძალოსნობა: ევროპის პირველობა. რიეკადან (ხორვატია); 22.30 „ძრავები“; 23.00 (პ) ძალოსნობა; 1.00 კრივი: ვბუ-ის მძიმე წონის ჩემპიონობაზე. ჯორჯ ფორმენი — ლუ სავარეზე. ატლანტიკ-სითიდან; 2.00 კარტ: მედისონი (-); 3.00 ჩოგბურთი: დიუსელდორფიდან (რ); 3.30 ჩოგბურთი: ატპ-ის ტური (მ); 4.00 აფროსნობის ჟურნალი (4.30-მდე)

ხვალ, პარასკევს, 23 მაისს

11.30 აფროსნობის ჟურნალი; 12.00 ტანვარჯიში: ევროპის საოსტატო. ბერსიდან (პარიზი); 14.00 თანამედროვე ხუთჭიდი: მსოფლიო თასი. ტეპლიცედან (ჩეხეთი); 14.30 „ძრავები“ (-); 15.00 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 16.00 კარტ: მედისონი. ვარჯიში; 17.00 ველოკროსი: საფრანგეთის ბასკეთის თასი; 17.30 მაროკოს ქვიშის მარათონი; 18.00 საბრძოლო ხელოვნებათა ფესტივალი. ბერსიდან; 20.00 ჩოგბურთი: დიუსელდორფი; 21.30 (პ) ძალოსნობა: ევროპა; 22.30 საფარის რალი. კენიიდან; 23.00 (პ) ძალოსნობა (-); 1.00 ბუნიკობანა (დართსი): ევროპის პირველობა. შვეიცარიიდან; 2.00 კარტ: მედისონი; 3.00 ჩოგბურთი: დიუსელდორფი; 3.30 ძალოსნობა (-; 4.30-მდე

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

CNN INTERNATIONAL

ყოველდღე

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

# ჩოგბურთი

## უ-აგას-ბეკეროდ!

ორშაბათს საფრანგეთის ღია პირველობა იწყება.

ორგანიზატორებმა უკვე საკმაო ზარალი ნახეს: ორშაბათს გერმანელმა ბორის ბეკერმა თავისი ქვეყნის ფედერაციას უფაქსა, შარშანდელისა არ იყოს, ტრავმის გამო ვერც წელს ვითამაშებო. ცნობაში მტკივანი ორგანო დასახელებული არ ყოფილა, მაგრამ ეჭვობენ, რომ ბორისი ისევ უიმბლდონში ნატკენმა მაჯამ შეაწუხა.

ბეკერს საფრანგეთის თიხაზე არასოდეს გაუმარჯვნია. იქ ვერც ამერიკელებს — ანდრე აგასისა და პიტ სამპრასს უვარგიათ. პირველი წელს არ ითამაშებს: 28-ე ჩოგნად ჩამოქვეითებულსაც მაჯა ტკივა, სამპრასმა კი ორშაბათს, დიუსელდორფში, მსოფლიოს გუნდურ თასზე თეძო იტკინა და მარკ ფილიპუსისს გადამწყვეტ ხელში დანებდა.

მსოფლიო თასს „ფორდი“ სპონსორობს. მას საპრიზო ფონდად 1,9 მილიონი დოლარი დაუწესებია. აშშ-სა და ავსტრალიის გარდა წითელ ჯგუფში თამაშობენ ჩეხეთი და ხორვატია, ლურჯში კი გერმანია, ჰოლანდია, ესპანეთი და შვედეთი გაერთიანებულან.

პირველი ტური ზოგი მონაწილისა და წვიმების გამო სამ დღედ გაიწელა. ავსტრალიამ 2-1 ძლია აშშ, ჰოლანდიამ გერმანიას ასევე 2-1 მოუგო, ხორვატიამაც 2-1 აჯობა ჩეხეთს, ესპანეთმა კი 2-0 დაამარცხა შვედეთი.

ტურზე ვაჟთა ტურნირი სენტ-პოლტენშია (ავსტრია). შარშანდელი ჩემპიონი ჩილელი მარსელო რიოსია (3). მასპინძელთა რჩეულმა თომას მუსტერმა (1), წინა კვირაში რომში თამაშისას სიქა რომ გაძვრა, დაისვენა და ორშაბათს 59 წუთში მოუგო ფრანგ 252-ე ჩოგან სებასტიან გროშანს 6:3, 6:3. თით-მოშუშებულმა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა (2), პარიზში შარშან მოგებული ტიტულის შენარჩუნებას რომ ეცდება, სამშაბათს 3:6, 3:6 წააგო სლოვაკ დომინიკ ჰრბატისთან.

ქალთა ტურის ტურნირები მადრიდსა და სტრასბურგშია. პირველგან გერმანიის ახალმა ჩემპიონმა, ამერიკელმა მერი-ჯო ფერნანდესმა (5) სამშაბათს 2:6, 3:6 წააგო ინეს გოროჩატეგთან (არგენტინა), მეორეგან კი ექს-ჩემპიონმა შტეფი გრაფმა (გერმანია, 1) სამშაბათს 6:3, 6:2 ძლია კანადელი პატრიშა ჰაი-ბულე.

# მოტოციკლი

## მეხუთედაც დუენი!

იტალიის მედიას მოტოციკლის თავისებური გაგება აქვს: 250 და 125 კუბ. სმ კლასები ურჩევნია 500-ს, მთელს მსოფლიოში ოსტატობის საზომად რომ მიიჩნევა.

არც გაემტყუნება. ამ ორ კლასში ხომ იტალიელები მძლავრობენ: ცალკე მრბოლლები, ცალკე — „აპრილიის“ მანქანები. აი, 500-ის ჩემპიონატი კი ლამისაა „ჰონდას“ შინაურ შეჯიბრად იქცეს: თუ ამის მოტოციკლს არ მიაგელვებ, გამარჯვებაზე არ უნდა იოცნებო!

მსოფლიო პირველობის IV ეტაპი

### იტალიის დიდი პრიზი

18. 05. მუჯელო (ფლორენციის შემოგარენი)

125 (20 წრე; 104,9 კმ): 1. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) 40 წუთი. 40,093 წამი; 2. ხორხე მარტინესი (ესპანეთი, აპრილია) 40.43,404; 3. გერი მაკქოი (ავსტრალია, აპრილია) 40.43,406; 4. ნობორუ უედა (იაპონია, ჰონდა) 40.43,473

ჯამი: როსი 75 ქულა; უედა 74; კაზუტო საკატა (იაპონია, აპრილია) 59; მარტინესი 57

18 წლის როსიმ წელს მესამე დიდი პრიზი რომ მოიგო და ერთი ქულით გადაუსწრო მანამდელ ლიდერს, ხალხმა გასაბერი ქალი შეაჩეჩა. როსი მოტოციკლზე შედგა, იტალიის დროშაააფრიალა და თოჯინა მაგრად ჩაბღუჯა, მაგრამ ამან ვერ გაუძლო და გასკდა!

250 (21 წრე; 110,145 კმ): 1. მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა) 40.47,548; 2. მარჩელინო ლუკი (იტალია, აპრილია) 40.47,598; 3. ლორის კაპიროსი (იტალია, აპრილია) 40.47,616; 4. რალფ ვალდმანი (გერმანია, ჰონდა) 40.51,722

ჯამი: ბიაჯი 75; ვალდმანი 62; ტეცუია ჰარადა (იაპონია, აპრილია) 56

სამივე პრიზიორი ერთი პირობა ლიდერობდა. ყველაფერი ზედ ფინიშზე გადაწყდა. ბიაჯი ამ კლასში სამგზის ჩემპიონია, 40 წლის ლუკი კი შეჯიბრში პერსონალურად დაუშვეს.



500 (23 წრე; 120,635 კმ): 1. მაიქლ დუენი (ავსტრალია, ჰონდა) 44.06,442 (საშუალო სიჩქარე 164, 101 კმ-სთ); 2. ლუკა კადალორა (იტალია, იამაჰა) 44.16,498; 3. ნობუაცუ აოკი (იაპონია, ჰონდა) 44.23,791; 4. ალექს კრივიე (ესპანეთი, ჰონდა) 44.25,587; 5. დარელ ბითი (ავსტრალია, სუძუკი) 44.27,531; 6. ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა) 44.27,835

სასტარტო განლაგება: დუენი, კრივიე, ტადაიუკი ოკადა (იაპონია, ჰონდა), დორიანო რომბონი (იტალია, აპრილია); ნ. აოკი, ტაკუმა აოკი (იაპონია, ჰონდა), კადალორა, კარლოს ჩეკა (ესპანეთი, ჰონდა)

უსწრაფესი წრე (XII): დუენი 165,422 კმ-სთ

ჯამი: დუენი 95; კრივიე 78; ნ. აოკი 54; კადალორა 43; ოკადა 38; ტ. აოკი 37

# ველორბოლა

## სუპერ-მარიო იგებს, რუსები — ლიდერობენ!

ველორბოლა ის სპორტია, ყველას თავისი სპეციალობა რომ აქვს: ერთი გრძელი ეტაპის ფინიშზეა მაგარი, სხვა — სიჩაუქის მოკლე გამოცდაში, მესამე — მთებში. ჰოდა, მავანი თუ მრავალდღიანი ტურის მოგებას ისახავს მიზნად, სხვა მხოლოდ იმას ესწრაფვის, რომ რაც შეიძლება მეტ ეტაპზე გაიმარჯვოს, რაკი საბოლოო ტრიუმფის იმედი არც უნდა ჰქონდეს.

მე-80 ჯიროზე — იტალიის ტურზეც ასეა. საწყისი ოთხი ეტაპიდან სამი 30 წლის მასპინძელმა, სუპერ-მარიოდ ცნობილმა მარიო ჩიპოლინიმ მოიგო, მაგრამ მერე რა: ერთადერთ გამოცდაში იმდენი იზარალა, რომ ოთხი ეტაპის ჯამში მხოლოდ მე-18 ადგილზეა.

19. 05. III ეტაპი (სანტარკანჯელო — სან-მარინო; 18 კმ): 1. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი); 2. ევგენი ბერზინი (რუსეთი, ბატიკი) ჩამორჩა 21 წამით; 3. რობერტო პეტიტო (იტალია, საეკო) 32; 4. ლიუკ ლებლონი (საფრანგეთი, პოლტი) 37; 5. პიოტრ უგრუმოვი (რუსეთი, როსლოტო) 53; 6. ივან გოტი (იტალია, საეკო) 55

ტონკოვი ჯიროს შარშანდელი ჩემპიონია, ბერზინი — 1994 წლისეული. ტონკოვმა სტარტი ადრე აიღო და დისტანცია 31 წუთსა და 42 წამში გალია. ბერზინს 24 ათას დოლარად ღირებული, ოდენ რვა-ნახევარ-კილოიანი ველოსიპედი აქვს, მაგრამ მსოფლიოს უმცირესი რესპუბლიკისაკენ მიმავალ აღმართზე ვერ ივარგა და იმდენი წააგო თანამემამულესთან, რომ სამი ეტაპის ჯამში მას ზუსტად ერთი წამით ჩამორჩა.

20. 05. IV ეტაპი (სან-მარინო — არეცო; 156 კმ): 1. ჩიპოლინი (საეკო); 2. ენდრიო ლეონი (იტალია, აკი); 3. ანხელ ედო (ესპანეთი, კელმე)

თუმც გზა მთებში გადიოდა, მთავარი ამბები ფინიშზე მოხდა. მანამდე იყო ჯგროდან გაქცევის რამდენიმე უშედეგო ცდა და ლიანგური დაცემა.

ჩიპოლინიმ საფინიშო სპურტით მოიგო, მაგრამ თანაგუნდელი ჟან-მატეო ფანინი ფინიშის შემდეგ ტურიდან მოუხსნეს, რადგან ამან გზა გაუკაფა და საავარიო სიტუაცია შექმნა.

მარიომ ამ დღეს ჯიროს ეტაპებზე კარიერაში მე-19-ედ გაიმარჯვა და თუ ერთხელაც მოიგებს, ყველა დროის ცხრილის მოწინავე ათეულში შევა. გარდა ამისა, ჩიპოლინი 12 წამით დასაჩუქრდა და გუშინდელი V, სამთო ეტაპის წინ წუთითა და 51 წამით ჩამორჩებოდა ტონკოვს, რომელიც ისევ ერთ წამს უგებდა ბერზინს.

წელს პირველად მოხდა, რომ პოული ოკადას არ ექირა: ვარჯიშშიცა და კვალიფიკაციაშიც დუენს ბადალი არა ჰყავდა.

ავსტრალიელმა მუჯელოში ზედიზედ მეხუთედ გაიმარჯვა (1993 წელს იქ სან-მარინოს გრან-პრი მოიგო), კარიერის 37-ე დიდი პრიზი მოიპოვა და განსვენებულ ბრიტანელ მაიკ ჰეილვუდს დაეწია.

დუენი და ოკადა რბოლის პირველ ნახევარში ორ-ორჯერ დაწინაურდნენ. მერე დიდი სიჩქარით მქროლმა იაპონელმა ჰაერში მალაყი გააკეთა, მაგრამ იოლად გადარჩა — ოდენ მაჯა იღრძო. დუენი დაფრთხა, მაგრამ ივაჟკაცა და ლიდერად ბოლომდე გაძლო.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიბრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მჭედლიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29